პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აფიშა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 16 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 135 (1290)

დღიური

- ბულგარეთში გრძელდება ხოცვა-ჟლეტა.
- ბესარაბიას სიმშილობა მოელის.
- შვეციის კომპარტიამ ორი დიდი მიტინგი მოაწყო სტოკჰოლმში.
- კვანტუნის ჯარებმა ჩინეთში [illegible] კანტონი.
- ლოკაუტის გამო 100.000 მუშა გერმანიაში ქუჩაში დარჩა.
- ამერიკის მთავრობა მოითხოვს მექსიკისაგან ამერიკის ინტერესების უზრუნველყოფას.

კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტები სასოფლო მეურნეობაში

მრეწველობაში ჩვენ მივაღწიეთ ომის წინანდელი დონის 70 პროც., ხოლო სასოფლო მეურნეობაში 72 პროც. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა ჩვენი მეურნეობის ტეხნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით. შემდეგში მრეწველობის საგრძნობი გაფართოებისათვის აუცილებელია მისი მოწყობილობის აღდგენა და განახლება.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სასოფლო მეურნეობაში. გლეხობის სამეურნეო თვითმოქმედება გაიზარდა, მაგრამ მას მეტ წილად არ გააჩნია ინვენტარი, ტეხნიკური საშუალებანი, ხოლო მამა-პაპეულ თოხით და ბარით ბევრს ვერაფერს გახდება.

ამიტომ, მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა წამოჭრილი მეურნეობის ძირითადი კაპიტალის შექმნის საკითხი. მისი გადაჭრა დიდძალ საშუალებებს, ფულს მოითხოვს. ჯერ-ჯერობით ნაკლები იმედია უცხოეთიდან ფართე საკრედიტო დახმარების. რაც შეეხება შინაურ სესხს, იგი წარმატებით ტარდება, რადგან მოსახლეობა უაღრესი ნდობით ეკიდება საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ამ სესხის რაოდენობა დიდი არ არის,— თვით ხალხს ჯერ-ჯერობით საამისოდ ნაკლები საშუალებანი მოეპოვება.

აქედან—ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული მოსახლეობის სიმდიდრის უფრო სწრაფი ზრდისათვის. ამ ნიადაგზე წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების ის ღონისძიებანი, რომელთაც მიიღეს სახელწოდება „ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოფლად.“

მიწის იჯარის და დაქირავებული შრომის დაშვება სოფლად—ასეთია ამათგან უმთავრესი ღონისძიებანი. ეს ნიშნავს საწარმოო ძალების გაშლას სოფლად კაპიტალისტური მეთოდებით—სახალხო სიმდიდრის დაგროვების დასაჩქარებლად. ამ მხრივ მათ უეჭველად დადებითი შედეგები მოჰყვება. საწარმოო ძალები სოფლად განვითარდება, დოვლათის დაგროვება იმატებს. გაცდენილი მიწა დაითესება. ინვენტარს მოკლებული და თითქმის პროლეტარი გლეხი იშოვის სამუშაოს.

მაგრამ ჩვენ ამავე დროს არ გვავიწყდება, რომ ეს არის აუცილებლობით გამოწვეული დათმობა კერძო—კაპიტალისტურ პრინციპებისადმი. და სოფლის გამდიდრებაც იწარმოებს პირველ ყოვლისა კერძო—შესაკუთრეობითი ხაზით. სწორედ აქ იმალება ერთგვარი საშიშროება სოციალისტურ მშენებლობისათვის—კაპიტალისტურ ელემენტების გაძლიერება სოფლის მეურნეობაში.

და აქ ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სიმდიდრის კერძო დაგროვება მოვაქციოთ სოციალისტურ დაგროვების კალაპოტში, გამოვიყენოთ იგი სოციალისტური მშენებლობისათვის. ამას ჩვენ შევსძლებთ, შევსძლებთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი მრეწველობის ზრდის წყალობით.

უკანასკნელი დრო ხასიათდება საბჭოთა მრეწველობის სწრაფი ზრდით. მიუხედავად ამისა ქვეყანა განიცდის საქონლის ნაკლებობას. ეს ნაკლებობა უფრო საგრძნობი გახდება ახალი მოსავლის აკრეფისას, როცა გლეხობის სყიდვითი უნარი მოიმატებს. ამგვარად, ჩვენი მრეწველობის წინაშე იშლება შემდეგი ზრდის უფართოესი პერსპექტივა. იზრდება სახელმწიფოებრივი, საბჭოთა მრეწველობა ეს მოწმობს სოციალისტური მშენებლობის არა ცხოველმყოფელობას, არამედ პირდაპირ მის გამარჯვებას.

კაპიტალიზაცია სოფლის მეურნეობაში მაშინ იქნებოდა სახიფათო, თუ ამასთან ერთად ადგილი ჰქონდეს კაპიტალისტური ელემენტების ზრდას მრეწველობაში. ამ შემთხვევაში ეს ორმაგი კაპიტალიზაცია მართლაც აღორძინებდა კაპიტალიზმს. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაშლა სოფლად დაუშვით მიმდინარე წელს, როცა გაბატონებულია და განმტკიცებული სახელმწიფო მრეწველობა, რომლის გავლენას ძალაუნებურად უნდა დაექვემდებარონ სოფლის კაპიტალისტური ელემენტები.

გარდა მრეწველობისა, სახელმწიფოს ხელშია ზედმოქმედების სხვა მძლავრი იარაღები—კრედიტი, ბანკები, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

ამნაირად კაპიტალისტურ ელემენტების ზრდა სოფლის მეურნეობაში ამთავითვე გარშემორტყმული იქნება სოციალისტური ელემენტებით. კაპიტალისტურ დაგროვებას სოფლად ადგილი ექნება, მაგრამ ნაწილი ამ დაგროვებიდან წავა სახელმწიფო მრეწველობასა და ვაჭრობაში. ამ დაგროვების ფართე გამოყენება შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ბანკების საშუალებით, რომლებზე არის დამოკიდებული მისცენ დაგროვებულ კაპიტალს სათანადო მიმართულება— დააბანდონ იგი სახელმწიფო მრეწველობაში, კოოპერაციაში.

ამას გარდა, თვით სახელმწიფო თავის თავად წარმოადგენს უდიდეს ეკონომიურ ძალას. რა თქმა უნდა, პარტია, სახელმწიფო შორიდან კი არ დაუწყებს მზერას კაპიტალიზმის გაშლას სოფლად. ამ გაშლას იგი დაუპირდაპირებს მთელ რიგ ეკონომიურ და სოციალურ ღონისძიებებს, რომლენიც ხელს შეუწყობენ სოციალისტურ ელემენტების გაზრდას სოფლის მეურნეობაში.

თოხით და ფოცხით სოფლად ჩვენ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ. წარმოების ასეთი პირველყოფილი წესების დროს გლეხობა ვერ გადავა კოლექტიურ მეურნეობაზე. სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია, მინდვრების მორწყვა, ტრაქტორები და სხვა მანქანები—აი სოციალიზმის განსახორციელებელი საშუალებანი სოფლად. საქმე ამჟამად საამისოდ ნივთიერ საშუალებათა გამონახვაა: ეს შესაძლებელია გლეხობის კოოპერატიული გაერთიანებით და სოფლის მეურნეობის ძირითადი კაპიტალის შექმნის საქმის მოქცევით კოლექტივიზაციის კალაპოტში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოვალეობას შეადგენს გლეხობის დარაზმვა საჭირო მანქანების შესაძენად და მიწათსარგებლობის კოლექტიურ ფორმაზე გადასვლისათვის ნიადაგის მომზადება. თავის მხრივ, სახელმწიფო, რა თქმა უნდა, დახმარება კოოპერატიულად შეკავშირებულ გლეხობას და საჭირო მანქანებს მიაწოდებს ნისიად და შეღავათიან პირობებში.

დაბოლოს, ხაზგასასმელია, რომ მიწათმოწყობის დაჩქარება დიდათ შეუწყობს ხელს საწარმოო ძალების ზრდას სოფლად და სოციალისტურ ელემენტების გაძლიერებას სასოფლო მეურნეობაში.

პრესა

შავი ქვის კონცესია

კვირის №-ში ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ვრცელი მასალა ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ, საიდანაც მკითხველი გაეცნობოდა ამ კონცესიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას.

როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლებამ კარგა ხანია წამოაყენა კონცესიების სისტემა, როგორც საშუალება უცხო კაპიტალის მოსაზიდად ჩვენი ქვეყნების სამეურნეო აღორძინების და ჩქარებისათვის. მაგრამ უცხოელ კაპიტალისტებს ამაზე გაგონებაც არ სურდათ. ისინი იმედოვნებდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობა და მაშინ საბჭოთა კავშირის მიწა-წყალი ჩვენი სათარეშო მოედნათ გადაიქცევაო. იმპერიალისტებმა ამ იმედის განაღდება მოიწადინეს იარაღით ხელში, შემდეგ ეკონომიური ბლოკადით, მაგრამ მათმა ცდამ არ გასჭრა. ინტერვენცია სასტიკად დამარცხდა, ჩვენმა სამეურნეო განაპირებამ ბურჟუაზიულ ქვეყნებს უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვინემ ჩვენ. მუშურ-გლეხურ მთავრობამ თავისი საკუთარი საშუალებებით მოახერხა ქვეყნის გამოყვანა ეკონომიური კრიზისიდან. ჩვენი მდგომარეობა ყოველმხრივ განმტკიცდა. ჩვენ წინ მივდივართ.

და აი, უცხოელ კაპიტალისტების უფრო გონიერი და საქმიანი ჯგუფები იწყებენ ჩვენთან თანამშრომლობას. საბჭოთა სინამდვილემ გაარღვია მრავალი კაპიტალისტების ერთიანი ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ. ამას წინედ დადებულ იქნა ლენის მსხვილი კონცესია. დღეს უკვე გვაქვს არანაკლებ მნიშვნელოვანი კონცესია ჭიათურის შავი ქვის შესახებ.

გაზ. „ზარია ვასტოკა“ (№ 900) თავის მოწინავეში: „Добавочный рычаг хозяйственного под‘ема“, ეხება ამ საკითხს:

„ლენა-გოლდფილდსის კონცესია, რომელიც ახლახან იქნა ხელმოწერილი, და საკონცესიო ხელშეკრულება ჩვენს მთავრობასა და ამერიკულ ფირმას—ჰარიმანსა და კომპანიას შორის მომასწავებელია პოლიტიკის გადაჭრილი შეცვლისა ჩვენთან დამოკიდებულებაში უცხოელ კაპიტალისტების მხრივ, რომელთაც, დაბოლოს, შეიგნეს საბჭოთა ნედლეულთან თავისი კაპიტალის შეუღლების აუცილებლობა.

ამაშია ხელმოწერილ საკონცესიო ხელშეკრულებების პოლიტიკური მნიშვნელობა. მართალია, ოქტომბრის გადატრიალების ძალაც გამოსჭვივის ამ ხელშეკრულებათა ყოველ მხრივ.

კერძოდ, ხელშეკრულება ჰარიმანთან ჭიათურის შავი ქვის კონცესიაზე უნდა შევაფასოთ, როგორც ნიმუში ხელშეკრულებისა, რომელიც დამყარებულია ამხ. ლენინის მიერ შემუშავებულ და წანდერძევ საკონცესიო პოლიტიკის პრინციპებზე“.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ამ ბოლო წლებში შეძლებისდაგვარად მოაწესრიგა მუშაობა ჭიათურაში. მას შემდეგშიც შეეძლო გაეგრძელებია ეს მუშაობა. მაგრამ ჩვენ გვინდა ამ მრეწველობის განვითარება წავიდეს გაცილებით უფრო აჩქარებული ტემპით, რაც გულისხმობს მასში არსებითი ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანას, მთელი შავი ქვის მრეწველობის მოწყობილობის გარდაქმნას, მის ამერიკანიზაციას. ამისათვის კი საჭირო საკმაოდ დიდძალი კაპიტალი ჩვენ არ გაგვაჩნია. დადებული ხელშეკრულება იძლევა ამის საშუალებას. „ზარია ვასტოკა“ განაგრძობს:

„საკონცესიო ხელშეკრულება ხორცს ასხამს ოცნებას ამერიკანიზაციის შესახებ და ამით ხდება მძლავრ ფაქტორად საწარმოო ძალების აღორძინებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების შრომის კოდექსის სრული დაცვის საფუძველზე, ქართველი პროლეტარიატის ახალი კადრები ამერიკანულად, „ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით“, გარდაქმნიან ჭიათურის რაიონს, თვითონაც გარდაიქმნებიან და მოემზადებიან ხელშეკრულების გადის გავლის დროისათვის, როცა ისინი და მათი შვილები შესძლებენ სრულიად დამოუკიდებლად აწარმოონ და მიღწეულ დონიდან შემდეგში უფრო განავითარონ მრეწველობის ეს დარგი“.

უაღრესია კონცესიის ეკონომიურ-კულტურული მნიშვნელობა საქართველოს მშრომელთათვის:

„ის მოწყობილობა—ქარხნები, რკინის გზები და სხ., რომელიც უნდა გააკეთოს კონცესიონერმა, გახდება საქართველოს მშრომელთა ნამდვილ კუთვნილებად და ძირითად კაპიტალად.

ის მილიონები, რომლებსაც საბჭოთა საქართველოს მთავრობა მიიღებს კონცესიონერისაგან ყოველწლიურად, მოხმარდება ქვეყნის სხვა აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეთა განაყოფიერებას.

საქართველოს ეკონომიური განვითარება, მისი ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია, ღებულობს ახალ მძლავრ წყაროს შავი ქვის კონცესიიდან.

საბჭოთა ხელისუფლების საფარველქვეშ, სამრეწველო დაბადებისა და განვითარების ნიადაგზე, მშრომელ საქართველოსათვის უზრუნველყოფილია ასვლა კულტურის უმაღლეს მწვერვალებზე“.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში

ჩინეთის მუშათა კლასი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს იმპერიალისტებს

საბჭოთა პროფორგანიზაციებმა კიდევ 50,000 მანეთი გაუგზავნეს გაფიცულებს შანხაიში

ქალთა საერთაშორისო გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის მუშებს

ჩინეთის პროფკავშირების მოწოდება მსოფლიო პროლეტარიატისადმი

პეკინი, 14 ივნისი. პროფკავშირების სრულიად ჩინეთის ფედერაციამ გამოუშვა მოწოდება მთელი მსოფლიოს მუშათა ორგანიზაციების მიმართ, რომელშიაც ნათქვამია:

„შანხაის ამბებმა ელვასავით გაამუქა მდგომარეობა ჩინეთში. ეხლა ყველას შეუძლია დაინახოს მკვლელების — იმპერიალისტების ნამდვილი სახე. ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება სერიოზულ შიშს ჰგვრის საერთაშორისო იმპერიალიზმს, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში შეეჩვია ჩვენი ქვეყნის განუკითხავად ძარცვას, განადგურებას და ნაწილ-ნაწილად დაქუცმაცებას.

სანამ რევოლიუციონური მოძრაობა არ სცილდებოდა სამხრეთ-პროვინციებს, ის საშიშრად არ მიაჩნდათ იმპერიალისტებს, მაგრამ, როცა მოძრაობა მოედო ჩრდილოეთს და განსაკუთრებით, როცა მუშათა მასებმა შეარყიეს იმპერიალისტების ბატონობა შანხაიში, საერთაშორისო იმპერიალიზმმა გადასწყვიტა შეუბრალებლად ჩააქროს მოძრაობა სისხლისმღვრელი ზომებით.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში შანხაიში გრძელდებოდა მკვლელობა, ხვრეტა და ნადირობა ხალხზე, რომელსაც სჩადიოდენ ინგლისელი და ამერიკელი მოხალისეები და აგრეთვე სპეციალური ველური პოლიცია, რომელიც დაქირავებული ჰყავთ იმპერიალისტებს. იმპერიალისტებს საკმარისად არ მიაჩნიათ მათი შეიარაღებული ძალები შანხაიში და ისინი მოითხოვენ კიდევ ახალ-ახალ სამხედრო გემებს, რომლებითაც ყოველ დღე ასხამენ დესანტებს. მაგრამ მკვლელობანი, ჯავშნიანი ავტომობილები საზღვაო ქვეითა ჯარი ვერ შეაშინებს მუშათა მასებს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო აკავშირებს მათ.

იმპერიალისტების გამოწვევას ჩინეთის მუშებმა უპასუხეს ერთსულოვანი გაფიცვით, რომელიც უკვე 12 დღე გრძელდება. ჩინეთის მშრომელი მასები იბრძვიან თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ადამიანური არსებობისათვის.

ყველაზე მძიმე პირობებში ჩინეთის პროლეტარიატმა გამოიჩინა სიმტკიცე და ბრძოლის უნარი.

თქვენ, ყველა ქვეყნის შეკავშირებულ მუშებს, მოგმართავთ ჩვენ, ჩინეთის შეკავშირებული მუშები, ამ ისტორიულ მომენტში თხოვნით გაგვიწიოთ ძმური დახმარება და დაგვიჭიროთ მხარი. შემჭიდროებული რიგებით უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. ამაშია ჩვენი საერთო განთავისუფლების საწინდარი.

ძირს სისხლისმსმელი იმპერიალიზმი! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტს! გაუმარჯოს აღმოსავლეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას!

კანტონი დაიკავეს კვანტუნის ჯარებმა

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. „იუნაიტედ პრესი“ იუწყება, რომ კვანტუნის ჯარებმა, „რომელთაც ხელმძღვანელობდენ ბოლშევიკური აფიცრები“, სასტიკი ბრძოლის შემდეგ იუნანის ჯარებს დაატოვებინეს ქალაქი.

ქალთა საერთაშორისო გაერთიანების მოწოდება

მოსკოვი, 15 ივნისი. ქალთა საერთაშორისო გაერთიანებამ მოწოდებით მიმართა ჩინეთის მუშებს, მუშა ქალებს, შანხაის, პეკინის და კანტონის სტუდენტებს, კომპარტიის და გომინდანის ქალთა განყოფილებებს. მოწოდებაში ქალთა სეკრეტარიატი აღშფოთებას გამოსთქვამს ინგლის-ამერიკის პოლიციის მიერ შანხაის მუშების, მუშა-ქალების და სტუდენტების დახვრეტის გამო. ქალთა სეკრეტარიატი მხურვალედ ესალმება ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც მიმართულია უცხოეთის კაპიტალის უღლის წინააღმდეგ და მოუწოდებს ჩინეთის ყველა მშრომელ ქალებს აქტიურად ხელი შეუწყონ ამ ბრძოლას, ჩადგენ ჩინეთის მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში.

რემედასის აღმასკომის დეპეშა

მოსკოვი, 15 ივნ. „რემედასს“-ის აღმასკომი თავის მოწოდებაში ჩინეთის მუშების მიმართ, ესალმება ჩინეთის დიდი რევოლიუციის დასაწყისს, „რემედასს“-ის 5 მილიონი წევრის სახელით აღუთქვამს ჩინეთის მებრძოლთ ყოველმხრივ დახმარებას.

ყვითლების ორმაგი ბუხჰალტერია

უმანკოებასაც იცავენ და კაპიტალსაც იქენენ

ლონდონი, 14 ივნისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარემ და მდივანმა გაუგზავნეს ჩინეთის მუშებს დეპეშა, რომელშიაც ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელით კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმ ღონისძიებების გამო, რომლებიც მიიღეს ჩინეთის მუშებმა თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამსტერდამის ინტერნაციონალი უსურვებს ჩინეთის მუშებს გამარჯვებას ბრძოლაში.

დახმარება გაფიცულებს

„რემედასს-ის“ აღმასკომისაგან

მოსკოვი, 15 ივნისი. „რემედასის“ აღმასკომმა გაგზავნა პროფკავშირთა საბჭოს სახელზე შანხაიში 30,000 მანეთი შანხაის ამბების დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის პროფორგანიზაციებისაგან

მოსკოვი, 15 ივნისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა 13 ივნისს გაგზავნა ტელეგრაფით დამატებითი დახმარების სახით ჩინეთის გაფიცულ მუშების და მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ 50,000 მანეთი გარდა 50,000 მანეთისა, რომელიც წინად იყო გაგზავნილი.

ახალი ხოცვა-ჟლეტა ბულგარეთში

ვერ ძღებიან სისხლით.

ვენა, 14 ივნისი. სოფიიდან იტყობინებიან, რომ კვლავ გრძელდება დაპატიმრებულთა მკვლელობა. ქალაქის მახლობლად იპოვეს ბულგარელ პოეტის ლეო მილევის საშინლად დასახიჩრებული გვამი. ლეო მილევს გასულ კვირას სოფიის სამხედრო სასამართლომ ერთი წლის ციხე მიუსაჯა ისეთი ლექსის დაბეჭდვისათვის, რომელიც მიმართული იყო ბულგარეთის მთავრობის ტერორის წინააღმდეგ.

გლეხთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი იონა მატოვი მოჰკლეს, თითქოს, გაქცევის ცდის დროს. ეს მკვლელობა მოხდა რამოდენიმე კვირის წინ, მაგრამ მხოლოდ ეხლა გამომჟღავნდა.

ახალი სადრჩობელები.

ვენა, 14 ივნისი. სოფიის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა საინჟინერო ჯარების ყოფილ პოლკოვნიკს მილტენოვს, რომელსაც ბრალად დასდეს იარაღის და სამხედრო მასალების გადაცემა რევოლიუციონურ ორგანიზაციებისათვის. სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა აგრეთვე 5 სხვა ბრალდებულს, რომლებიც თითქოს გაქცეული არიან, მათ შორის მაიორ მილანოვს და კაპიტან კროტნევს. მენჩევს და ლიულჩევს, რომელთაც ბრალს სდებდენ კომუნისტების დაფარვაში, მიუსაჯეს გრძელვადიანი კატორღა.

3,194 „დამნაშავე“

ვენა, 14 ივნისი. სამხედრო მინისტრმა იალკოვმა განაცხადა ბულგარეთის კრებაში, რომ სოფიის ტაძრის აფეთქების შემდეგ დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი უდრის 3,194 კაცს.

ფაშისტური სასამართლო

ვენა, 14 ივნისი. სოფიის სამხედრო სასამართლოში ირჩევა რამდენიმე საქმე, მათ შორის 35 სტუდენტის და მოწაფეების საქმე, რომელთაც ბრალად ედებათ კომპარტიის დავალებათა შესრულება.

პროკურორი მოითხოვს ყველა ბრალდებულთათვის 12 წლით დაპატიმრებას.

მეორე დამახასიათებელი საქმეა —შტიმანის ორგანიზაციის 8 წევრის პროცესი; ზოგიერთ ბრალდებულისათვის პროკურორი მოითხოვს სიკვდილით დასჯას.

ბოლოს ამ დღეებში სამხედრო სასამართლოში შუმლში იწყება ყველაზე დიდი პოლიტიკური პროცესი. პასუხისგებაში მიცემულია 480 მუშა, გლეხი და მასწავლებელი, რომელთაც ბრალად ედებათ არალეგალური მუშაობა შუმლის ოლქში, 65 ბრალდებულისათვის მოითხოვენ სიკვდილით დასჯას.

რევოლიუციონურ გზას ადგებიან

ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობის გამარჯვება

ლონდონი, 14 ივნისი. ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობამ დიდი გამარჯვება მოიპოვა. 9 ივნისს უმცირესობის მოძრაობას შეუერთდა ლონდონის პროფსაბჭო, რომელიც აერთიანებს 126 პროფესიონალურ კავშირს 75.000 მუშით. გარდა ამისა ლონდონის პროფსაბჭოს ემხრობა 30 პროფკავშირი ლონდონის განაპირა კუთხეებიდან 40.000 მუშით.

ომი მაროკოში

ოფიციალური ცნობა.

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ოპერაციები ტეტუანის (ესპანეთის ზონა) სამხრეთით დამაკმაყოფილებლად დამთავრდა.

კონფერენციის წინ.

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება მადრიდიდან, რომ 12 ივნისს შესდგა საფრანგეთის და ესპანეთის ექსპერტების პირველი სხდომა.

პენლევე ჯარებს ათვალიერებს.

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება ფეციდან, რომ პენლევე გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ იმ ჯარების დასათვალიერებლად, რომლებიც დაბანაკებული არიან უეტცანში და მის მიდამოებში. პრემიერს თან ახლავს უმაღლესი კომისარი —მარშალი ლიოტე.

პროფმოძრაობა პოლონეთში

ვარშავა. 14 ივნისი. პროფკავშირთა ყრილობის მეორე და მესამე დღის განმავლობაში იხილავდენ ცენტრალურ კომისიის ანგარიშს და პროფკავშირთა ამოცანებს პოლონეთის დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ოპოზიციის წარმომადგენლებმა სასტიკად გააკრიტიკეს ცენტრალური კომისიის მოქმედება და აღნიშნეს, რომ იგი ქსაქსავდა პროფესიონალურ მოძრაობას და სისტემატიურად ითხოვდა არა მარტო მისთვის არასასურველ პროფკავშირთა მოღვაწეებს, არამედ მთელ პროფკავშირებს და ამ მიზნით ხშირად მიმართავდა პოლიციას და „ოხრანკას“ დახმარებისათვის.

ამის საპასუხოთ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრმა ნისკიმ განაცხადა, რომ ადვილია სამეურნეო ცხოვრების დანგრევა მოუფიქრებელ გადატრიალებით, მაგრამ მისი ხელახლა აღდგენა ძნელი იქნება. ნისკი ილაშქრებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აღნიშნავდა, რომ იგიც დამნაშავეა კრიზისის შექმნაში, ვინაიდან წინად რუსეთი ასაღებდა პოლონეთის მრეწველობის პროდუქციას, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კი რუსეთის მოსახლეობამ დაჰკარგა სყიდვითი უნარიანობა.

კომუნისტური მიტინგები სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 14 ივნისი. ორ ბალში გაიმართა შვეციის კომპარტიის მიერ მოწყობილი მიტინგები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცმა. შვეციის ფაშიზმის და ფაშისტების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს შპაკმა, ულსონმა და ბრეტლინგმა. პოლიციამ წინასწარ აკრძალა სიტყვები ბულგარეთში დახოცილ მუშების შესახებ.

მიტინგებზე მიღებული რეზოლიუციები პროტესტს აცხადებენ თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბულგარეთში და მოუწოდებენ პროლეტარიატს საერთაშორისო სოლიდარობისაკენ.

მექსიკა და ამერიკა

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. ამერიკის ელჩთან შეფილდთან თათბირი შემდეგ მექსიკაში, სახელმწიფოს მდივანმა კელოგმა გამოაქვეყნა განცხადება მექსიკისა და ამერიკის ურთიერთობის შესახებ. განცხადებაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ „ამერიკა მხარს დაუჭერს მექსიკის მთავრობას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ამერიკელების უშიშროებას და უფლებებს და ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს“. შემდეგ კელოგი აღნიშნავს: „ჩვენს ურთიერთობას მექსიკასთან მეგობრული ხასიათი აქვს. მაგრამ არსებული პირობები არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მექსიკის მთავრობა დაუბრუნებს ამერიკელ მოქალაქეებს უკანონოთ ჩამორთმეულ ქონებას და აუნაზღაურებს მათ ზარალს“.

ვინაიდან ხმები დადის მექსიკაში მოსალოდნელ აჯანყების შესახებ. კელოგმა მოითხოვა მექსიკის მთავრობისაგან ამერიკის ინტერესების დაცვა.

იურენევის ჩასვლა სპარსეთში

თეირანი, 14 ივნისი. თეირანში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში იურენევი, რომელსაც დიდი ზეიმით შეხვდენ საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელნი და საბჭოთა ახალშენების მოქალაქენი.

ენზელში სპარსეთის მთავრობა ოფიციალურად შეეგება იურენევს; შეხვედრაში მონაწილეობას იღებდენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელნი და საპატიო ყარაული.

ამხ. კამენევი თბილისში

კვირას თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. ბ. კამენევი.

ამხ. კამენევმა გუშინ დაათვალიერა ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტროსადგური, სადაც დეტალურათ გაეცნო სადგურის ასაგებათ წარმოებულ მუშაობას.

ჭიათურის კონცესია.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კამენევმა ჭიათურის შავი ქვის საკონცესიო ხელშეკრულების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ჰარიმანთან დადებული კონცესია უნდა ჩაითვალოს მსხვილ საწარმოო კონცესიის ნიმუშათ. ჩვენი კავშირი არის შავი ქვის მონოპოლისტი და ამ გზით შეგვიძლია კონტროლის ქვეშ ვიყოლიოთ ევროპის ლითონის მრეწველობა; თუ ჩვენ დავთანხმდით ამ კონცესიაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გულწრფელათ გვინდა მოვიზიდოთ უცხო კაპიტალი, რომ დავაჩქაროთ ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპი; მაგრამ უცხო კაპიტალს ჩვენ კონცესიას მივსცემთ მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა კავშირის ნამდვილი სარგებლიანობა.

დადებული კონცესიის ძირითადი სარგებლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ კონცესიონერი ხელშეკრულების ძალით ვალდებულია გადააკეთოს ჭიათურის ვიწრო ლიანდაგი შტო, გააუმჯობესოს შავი ქვის ამოღება და ფოთის ნავთსადგური და ააგოს ფერომარგანეცის ქარხანა.

ამას გარდა კონცესიონერი ვალდებულია ყოველწლიურათ გაადიდოს და გააფართოვოს შავი ქვის ამოღება. ასეთ პირობებში ჭიათურაში სამუშაოს იშოვის მრავალი ათასი მუშა მახლობელ რაიონებიდან, სადაც მიწების ნაკლებობაა ეს მუშები იმუშავებენ კონცესიონერთან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული ყველა კანონები შრომის კანონმდებლობის დარგში.

აი ის უშუალო სარგებლიანობა, რომელმაც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება დათანხმებულიყო ამ კონცესიაზე.

კონცესიის პოლიტიკური მნიშვნელობა იმაშია, რომ უცხო კაპიტალს, რომელსაც სურს კეთილსინდისიერათ იმუშაოს საბჭოთა კავშირში და რომელიც არ ჩაერევა ჩვენს პოლიტიკურ წესწყობილებაში, შეუძლია დარწმუნდეს ამ კონცესიიდან იმაში, რომ ჩვენ სიამოვნებით მივდივართ ყოველგვარ საქმიან და ორივე მხარისათვის სასარგებლო შეთანხმებაზე.

ამხ. კამენევი

საბჭოთა კავშირში, კერძოთ, კავკასიაში მრავალი დაუმუშავებელი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომელთა დამუშავება საკუთარი ძალებით მოკლე დროის განმავლობაში ძნელია, მათ დამუშავებას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება კავკასიისათვის.

ჩვენ ვამბობთ: ვისაც სურს პატიოსნათ მუშაობა, მოვიდეს და იმუშაოს.

ინგლისის მუშა ქალთა დელეგაციის შესახებ

თბილისში ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციის ჩამოსვლის მნიშვნელობის შესახებ კამენევმა სთქვა: „ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობასთან დაახლოვება უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორია, რამდენადაც ის ხელს უწყობს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გაერთიანებას. ჩვენ მეტათ მოხარული ვიქნებით, როდესაც უცხოელი მუშები ჩვენს მაგალითზე დარწმუნდებიან, რომ სოციალისტური საზოგადოების მოწყობა შეიძლება პროლეტარიატის ძალებით.

უკანასკნელი ცნობები

ჭიათურის შავი ქვის კონცესიის გარშემო

ამერიკის გაზეთების აზრი

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. ჰარიმანის კომპანიის გაზეთები, აქვეყნებენ რა საბჭოთა კავშირთან მარგანეცის შესახებ დადებულ კონცესიის პირობებს, სწერენ: „შეთანხმება ჰარიმანსა და საბჭოთა მთავრობას შორის გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობა თავის პოლიტიკაში დაინტერესებულია უცხოეთის კაპიტალის მიზიდვით საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებისათვის და რომ საბჭოთა მთავრობა მომხრეა იცნოს უცხოელთა პრეტენზიები კერძო საკუთრების ანაზღაურებაზე.

ეს შეთანხმება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საბჭოთა კავშირის განვითარების საქმეში; ამ მოვლენას შედეგად მოჰყვება კავშირის სერიოზულ მსოფლიო ეკონომიურ ფაქტორად გადაქცევა.

გაზეთები ხაზს უსვამენ მარგანეცის ეკონომიურ მნიშვნელობას შეერთებულ შტატებისათვის და სწერენ: „ჰარიმანის კომპანიასთან შეკავშირებულია ევროპის მსხვილი ფინანსიური და სამრეწველო დაწესებულებანი. მოსალოდნელია ამერიკულ ამხანაგობის შექმნა საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების აღსასრულებლად; ამ ამხანაგობაში წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე უცხოეთის წარმოებანი“.

გერმანიის ფინანსიური წრეების აზრი

ბერლინი, 14 ივნისი. გერმანიის ფინანსიურ და სამრეწველო წრეებში ესალმებიან ხელშეკრულების დადებას ჰარიმანთან ჭიათურის შავი-ქვის დამუშავების შესახებ. ხელშეკრულების დადებას აქ იხილავენ, როგორც „საბჭოთა კავშირში გერმანიის და ამერიკის თანამშრომლობის ახალი ხანის დასაწყისს“.

სამრეწველო წრეებში ფიქრობენ, რომ ჰარიმანის კონცესია გააძლიერებს ამერიკის კაპიტალის და გერმანიის ტეხნიკურ ძალების მუშაობას საბჭოთა კავშირში.

დაწვრილებითი ცნობები კანტონის აღების შესახებ

პეკინი, 15 ივნისი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გომინდანის წითელი ჯარების მიერ კანტონის აღების შესახებ:

„კანტონის შეიარაღებული ბრძოლა დასრულდა. გომინდანის ლაშქარმა მსწრაფლმავალი გემების დახმარებით გადალახა მდინარე ქალაქის თავსა და ბოლოში. როდესაც სათადარიგო ჯარი მიდიოდა მდინარეზე მსწრაფლმავალი გემების დახმარებით, იუნონის ჯარებმა გამოაფინეს თეთრი დროშა და გაიქცნენ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მათ უკან მისდევენ გომინდანის ჯარები. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლას მეტად ცხარე ხასიათი ჰქონდა. დახოცილია რამოდენიმე ასეული კაცი.

გომინდანის გამარჯვებას სავსებით მიაწერენ რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობას. ქალაქში სიწყნარეა. იყო რამდენიმე შემთხვევა ყაჩაღობისა. გამარჯვებულებმა დახვრიტეს მძარცველები.

შეიძლება ვიქონიოთ შიში, რომ თავისი ადვილი გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკი ჯარისკაცები დაუწყებენ მცხოვრებლებს წაქეზებას უცხოელთა წინააღმდეგ.

პენლევე დაბრუნდა საფრანგეთში

პარიზი, 14 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პენლევე 14 ივნისს საღამოთი გამოფრინდა მაროკოდან საფრანგეთში.

ჩინეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება

პეკინი, 14 ივნისი. ჩინეთის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა დაწვრილებითი მანიფესტი, სადაც გამოხატულია კომპარტიის პოზიცია ჩინეთის თანამედროვე მდგომარეობისადმი.

მანიფესტი აღნიშნავს, რომ შანხაის ამბები არ არის მოულოდნელი; იგი წარმოადგენს იმპერიალისტების პოლიტიკის აუცილებელ შედეგს.

დაწყებულმა საპროტესტო მოძრაობამ უნდა მოსპოს უთანასწორო ხელშეკრულებები უცხოელებთან და მათი უპირატესობანი. ჩინეთის ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საბჭოთა კავშირი არის მისი ერთად ერთი მეგობარი და იგი მხარს უჭერს მის საპროტესტო მოძრაობას. მანიფესტი მწუხარებას გამოსთქვამს ჩინელების დახოცვის გამო და იმედოვნებს, რომ ჩინელი ხალხი დაასრულებს დაღუპულ მებრძოლთა მიერ დაწყებულ საქმეს.

ოთხშაბათს, 17 ივნისს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის
თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთ დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—ნ. ა. სვანიძე

დღეს, 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო

მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაერთიანებული პლენუმი

მუშა ქალებთან ერთად.

სვერდლოვის უნივერსიტეტის მსმენელთა მეორე გამოშვება

სვერდლოველების საზეიმო გამოშვება

მოსკოვი, 15 ივნისი. 13 ივნისს დიდ თეატრში ზეიმით იქნენ გამოშვებული სვერდლოვის უნივერსიტეტის მსმენელები.

სხდომა გახსნა სვერდლოვის უნივერსიტეტის რექტორმა ლიადოვმა, რომელმაც მოიყვანა უნივერსიტეტის მოკლე ისტორია მისი გახსნის დღიდან. „ჩვენი უნივერსიტეტი—სთქვა ლიადოვმა,—დაასრულა დღეს 216 სტუდენტმა. აქედან 16 კაცმა დაასრულა პარტმუშაობის ძირითადი კურსი, ხოლო 100-მა პროფმოძრაობის კურსი. კურსდამთავრებულ სვერდლოველების დიდ უმრავლესობას გავლილი აქვს არალეგალურ მუშაობის და სამოქალაქო ომის გაკვეთილები. ჩვენი სტუდენტები არ იღებენ არავითარ დიპლომებს, როგორც ეს ბურჟუაზიულ უნივერსიტეტებში ხდება. მთავარი მასა იგზავნება მუშებსა და გლეხებში სამუშაოთ. იქ ისინი დაამტკიცებენ, რამდენად ღირსნი არიან საპასუხისმგებლო ადგილების დაჭერის. სვერდლოველებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ ადგილებზე პრაქტიკულ მუშაობაში“.

მისალმებანი

ამხ. ზინოვიევის მისალმება

ზინოვიევი მიესალმა სვერდლოველებს და სთქვა: „15 წლის წინად მე დავესწარი საფრანგეთის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში პატარა ბოლშევიკურ სკოლის კურსის დამთავრებას. ამ სკოლას ხელმძღვანელობდა ლენინი. კურსი დაასრულა 10 მოწაფემ, რომელთაც რამდენიმე ხნის შემდეგ გაიარეს დამატებითი კურსი ციხეებში“. შემდეგ ზინოვიევი აღნიშნავს, რომ სვერდლოველების გამოშვება ხდება სულ სხვა პირობებში. პოლიტიკურად სვერდლოველები უფრო მომზადებული არიან, ვიდრე პირველ ბოლშევიკურ სკოლის მოწაფეები. ზინოვიევი ფიქრობს, რომ კურსდამთავრებულ სვერდლოველებს აქვთ მნიშვნელოვანი რევოლიუციონური სტაჟი, რომელიც კიდევ უფრო გამდიდრდა უნივერსიტეტში შეძენილ ცოდნით.

შემდეგ ზინოვიევი ეხება მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს საერთაშორისო მდგომარეობის პროლეტარულ რევოლიუციის პერსპექტივების, მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ.

ბოლოს ზინოვიევი გამოსთქვამს იმედს, რომ მსოფლიო რევოლიუცია ახლო მომავალში დაიწყება მუშათა და გლეხთა ბრძოლის და ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობის წყალობით.

„სადაც არ უნდა გადაგისროლოთ თქვენ ბედმა—ამბობს ზინოვიევი,—თქვენ ყველგან უნდა ეძებოთ პარტიაში რწმენა და სიმტკიცე.“

ამხ. ბუხარინის სიტყვა.

თავის მისასალმებელ სიტყვაში ბუხარინმა განაცხადა, რომ სოციალისტურ მეურნეობის მოსაწყობად საჭიროა მუშაკთა ახალი კადრები, რომელნიც გაერთიანებული იქნებიან ჩვენი პარტიის ერთიანი ნებისყოფით.

ეს ახალი კადრები პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევენ აგრეთვე სოფელს, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს მოევლინებიან საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის მტრული და უცხო ხელმძღვანელები.

სვერდლოვის უნივერსიტეტი მოგვცემს ჩვენ მუშაკთა საჭირო კადრებს. ბუხარინი გამოსთქვამს რწმენას, რომ სვერდლოველები მაღლა დაიჭერენ თავის დროშას და მიაღწევენ წარმატებას მსოფლიო ბრძოლის ფრონტზე.

შემდეგ სვერდლოველებს მიესალმენ: ამხ. კალინინი, პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვები. საპასუხო სიტყვაში სვერდლოველებმა აღუთქვეს მთელი თავისი ძალები და ცოდნა მოახმარონ მუშათა კლასს და გლეხობას და იხელმძღვანელონ მუშაობის დროს ლენინის აღთქმებით.

ამხ. სტალინის ნაკაზი სვერდლოველებს

მოსკოვი, 15 ივნისი. „პრავდაში“ დაბეჭდილია სტალინის წერილი სვერდლოვის უნივერსიტეტისადმი კურსის მეორეთ გამოშვების გამო. წერილი შემდეგი შინაარსისაა:

„სვერდლოვის უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს პარტიის საკომანდო შემადგენლობის გამომუშავების საქმეში.

თავის არსებობის განმავლობაში უნივერსიტეტმა მისცა პარტიას აქტიურ მუშაკების რაზმები, რომელნიც მოქმედებენ სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

ამ ჟამად უნივერსიტეტი ისევ აძლევს პარტიას 214 სტუდენტისაგან შემდგარ რაზმს, უმთავრესად მუშებს.

იმისათვის, რათა ამ რაზმის მომავალი მუშაობა იყოს ნაყოფიერი მშენებლობის რთულ ამოცანების შესრულების დროს, საჭიროა, რათა ამ რაზმს ახსოვდეს ჩვენი პირობების ზოგიერთი გარემოებანი, რასაც დღევანდელ მომენტში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

უნდა დაიპყროთ გლეხობა.

რა გარემოებაა ეს?

ეს პირველყოვლისა, ის ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი კლასები—პროლეტარიატი და გლეხობა—არსებითად გამოიცვალენ უკანასკნელ ხანებში, გახდენ უფრო აქტიური პოლიტიკურად და სამეურნეო მშენებლობაში, რის გამოც მოითხოვენ პარტიის მხრივ ახალ მიდგომას. გლეხობა უკვე აღარაა ძველი გლეხობა, ჩაგრული ძველი მორიელებისაგან, მას აღარ ეშინია ყოფილ მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწის წართმევის ან სასურსათო განაწერის ახალი სიმძიმის. ეს ახალი გლეხობა კულტურულათ გაიზარდა, მას დაავიწყდა მემამულე და სასურსათო განაწერი (развертка), იგი მოითხოვს იაფფასიან საქონელს და პურის მაღალ ფასებს, იგი ზედმიწევნით იყენებს პარტიის ლოზუნგს საბჭოების გამოცოცხლების შესახებ. მაქსიმალური მოქნილობა დღევანდელ გლეხობისადმი—აი რა არის საჭირო დღეს პარტიისათვის. გლეხების დაპყრობა და მათი გადმოყვანა პროლეტარიატის მხარეზე—ამაშია დღეს პარტიის ამოცანები.

უნდა აღადგინოთ გლეხის ნდობა მუშისადმი.

მეორე, ის გარემოება, რომ მთელ რიგ რაიონებში საშუალო შეძლების გლეხი კულაკთან ერთად აღმოჩნდა. ეს არის მთავარი ფაქტი, რომლის დავიწყება არ შეიძლება არც ერთი წუთით. პროლეტარიატის დიქტატურა მუშათა და გლეხთა კავშირის თვალსაზრისით არის პროლეტარიატის მხრივ გლეხობის ხელმძღვანელობა. რას ნიშნავს გლეხობის ხელმძღვანელობა? ეს იმას ნიშნავს, რომ სავსებით უნდა აღდგენილი იქნას გლეხობის მთავარი მასის ნდობა მუშათა კლასისადმი და მისი პარტიისადმი. ასეთი ნდობის გარეშე წარმოუდგენელია პროლეტარიატის ხელმძღვანელობა. ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე წარმოუდგენელია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ გლეხობის მთავარ მასის სრული ნდობის აღდგენა მუშათა კლასისადმი—ამაში მდგომარეობს პარტიის და პარტიულ მუშაკების ამოცანა.

უნდა გახსოვდეთ პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი

მესამე ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა პარტიულმა მუშაკებმა „პირი სოფლისაკენ“ ლოზუნგის გამო თანდათან დაივიწყეს მუშები და მხედველობიდან გამოუშვეს ის გარემოება, რომ სოფლისაკენ პირის ბრუნების დროს ჩვენ არ შეგვიძლია ზურგი შევაქციოთ ქალაქს და უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატს. ესეც ახალი ფაქტია რომელიც არ უნდა დავივიწყოთ ერთი წუთითაც კი. უნდა გახსოვდეთ, რომ უკანასკნელ ხანებში მუშათა კლასში განსაკუთრებით გაიღვიძა და გაძლიერდა ძალის, თავის ღირსების გრძნობა. ეს არის იმ მმართველ კლასის დიადი გრძნობა რომელიც წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულ კლასს. ეს არის, ამხანაგებო, უდიდესი მიღწევა მთელ ჩვენს მუშაობაში, ვინაიდან მუშათა კლასი, რომელიც თავს გრძნობს არა მარტო მომუშავე კლასათ, არამედ მმართველ კლასათ,—ასეთ კლასს შეუძლია სასწაულების მოხდენა.

მაგრამ აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ვინც კომუნისტებიდან თავის მუშაობაში ანგარიშს არ უწევს მმართველ კლასის ამ გრძნობას, მას არაფერი არ გაუგია ახალ პირობებში, ის, მართალი გითხრათ, არ არის კომუნისტი, და მან აუცილებლათ ფეხი უნდა წაიტეხოს.

ამიტომ, როდესაც ლაპარაკია ლოზუნგზე „პირი სოფლისაკენ“, ამასთან ერთად უნდა გახსოვდეთ რომ მთავარ კლასად, რომელიც მოწოდებულია ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის, ითვლება მუშათა, კლასი და რომ ეს ლოზუნგი შეიძლება გატარდეს ცხოვრებაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მუშათა კლასი ხდება მართლაც ხელმძღვანელ ძალათ ქვეყანაში. აი ამიტომ პარტიის მორიგი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ჩვენმა პარტიულმა მუშაკებმა ადგილებზე გაიგონ ბოლოს და ბოლოს, რომ აბსოლიუტურად საჭიროა ყურადღება და მოფიქრებული მოპყრობა მუშათა კლასის როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ მოთხოვნილებებისადმი.

ახლად კურსდამთავრებულთა რაზმების ამოცანა მდგომარეობს იმაში, როცა მხედველობაში მიიღონ ყველა ეს გარემოებანი ადგილებზე მუშაობის დროს“.

საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩამოსვლა

გუშინ დაახლოვებით დილის თერთმეტ საათზე თბილისში ჩამოვიდა საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების დელეგაცია. წარმომადგენელთა შორის იმყოფება საქვეყნოდ ცნობილი მოგზაური, ჩრდილოეთ პოლიუსის მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი. როგორც კვირის ნომერში გვქონდა აღნიშნული, საქველმოქმედო საზოგადოების მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი კომისიის მიზანია დაათვალიეროს საბჭოთა სომხეთი და გამოარკვიოს საკითხი, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება სომხეთის დღევანდელ მიწა-წყალზე იმ ლტოლვილ სომხეთა დასახლება, რომელნიც ამ ჟამად ევროპაში იმყოფებიან საქველმოქმედო საზოგადოების კომისიაში შედიან ტომსონი, კარლეი, გარონი და კიდევ სამი წევრი. თბილისის სადგურზე ფრიტიოფ ნანსენს და კომიტეტის წევრებს შეეგებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. მცირე საუბრის შემდეგ კომიტეტის წევრები გამოეშურენ ქალაქისაკენ და დაბინავდენ სასტუმრო „ორიანტ“-ში, ცოტაოდენი დასვენების შემდეგ დელეგაციამ ინახულა საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოება, სადაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი საზოგადოების მუშაობის და ქონებრივი სალსარის შესახებ.



ფრიტიოფ ნანსენი

მათ დასმულ კითხვებზე მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. დაახლოვებით პირველ საათზე გაემგზავრენ ზემო-ავჭალაში ჰიდროელსადგურის საამშენებლო რაიონის დასათვალიერებლად. მათ თან გაჰყვენ ზემო-ავჭალაში მომუშავე სპეციალისტები.

კომიტეტის დანარჩენი წევრები ესტუმრენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს. მათ ჰქონდათ ხანგრძლივი საუბარი მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ქვანიასთან.

წევრები განსაკუთრებით დაინტერესდენ საქართველოში წარმოებული ირიგაციული და მელიორატიული მუშაობით.

მათ გამოიკითხეს, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ჭაობების ამოშრობის და არხების გაყვანის საქმე, რამდენი იხარჯება სამელიორაციო-საირიგაციო სამუშაოებზე და მოსახერხებელია თუ არა საქართველოში გამოუდეგარი მიწების ამოშრობა ან მორწყვა იმ რაოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს ახალშენების მოწყობა. ყველა ამ საკითხებზე ამომწურავს პასუხს აძლევდენ ამხ. ი. ქვანია და სამელიორაციო განყოფილების უფროსი ინჟ. გ. გეგეჭკორი. კომიტეტის წევრებს დიდი მადლობა გადაუხადეს მიწათმოქმედების სახ. კომისარის საინტერესო ცნობების მიწოდებისათვის.

შემდეგ კომიტეტის წევრები წავიდენ თბილისის ბოტანიკურ ბაღში, სადაც მათ გაჰყვა ბაღის დირექტორი აგრ. ლომოური.

წევრებმა დაწვრილებით დაათვალიერეს ბაღის ყოველი კუთხე და დარჩენ ფრიად კმაყოფილნი.

კომიტეტის წევრებმა გამოსთქვეს სურვილი გაეცნონ აგრონომიულ-კულტურულ დაწესებულებათ სომხეთიდან დაბრუნების შემდეგ.

პარტიული ცხოვრება

დისციპლინის საკითხისათვის

კომკავშირის ორგანიზაციაში დისციპლინის საკითხი დღეს ერთი საჭირბოროტო საკითხია. არსებული ფაქტები გველაპარაკება იმის შესახებ, რომ უჯრედებში წევრთა შორის დისციპლინის დარღვევა ხშირი მოვლენაა.

რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება?

უკანასკნელ ხანებში კომკავშირის ორგანიზაცია რიცხვობრივად საკმაოდ გაიზარდა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ დისციპლინის დარღვევაც სწორედ ამ რიცხვობრივ ზრდასთან, მხოლოდ ამავე დროს აქტივის ზრდის შეფერხების ფაქტთან არის დაკავშირებული.

ხოლო თუ რა უარყოფითი შედეგები მოაქვს ამ დისციპლინის დარღვევას ეს ყველასათვის ცხადია.

ეს უდისციპლინობა დღეს, უპირველეს ყოვლისა, მეტად აფერხებს ახალგაზრდობის განტვირთვის ამოცანის სწორ გადაჭრას, რომელიც ამჟამად ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციების წინაშე მწვავედ არის წამოჭრილი.

მაგრამ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.

ჩვენი ახალგაზრდათა კომუნისტური აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, მისი გაღრმავება—არის უმთავრესი პირობა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ თვითეულმა კომკავშირელმა მტკიცედ შეითვისოს ამხ. ლენინის აზრები პარტშენებლობის, ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი პრინციპების შესახებ.

თვითეულ კომკავშირელმა უნდა შეიგნოს ისიც, რომ გარეშე ამ ორგანიზაციულ პრინციპების სასტიკ დაცვისა შეუძლებელია პარტიის თუ კავშირის არსებობა.

აი ამისათვის კი საჭიროა, რომ პარტიამ გამოცდილი ძალები გადმოგზავნოს კომკავშირში სისტემატიურად სამუშაოდ. ყოველ მიზეზს გარეშე კომკავშირში უნდა იქნეს გაძლიერებული პარტგავლენა და პარტკადრი. პარტიის ასეთნაირი დახმარებით კომკავშირი უთუოდ შესძლებს დისციპლინის საკითხის მოწესრიგებას, მის სასურველად გადაჭრას.

შალ-ქარ.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მე-9 შრ. სკ. კომკავშირის უჯრედი

ზემოხსენებული უჯრედი 4 თვეა რაც დაარსებულია. წევრებათ ითვლებიან ამავე სკოლის ქალიშვილები. პირველ ხანებში უჯრედის მუშაობა ვერ მიმდინარეობდა ნორმალურად, რადგან ახალი დაარსებული იყო და მისი წევრები კავშირის დისციპლინას არ იყვენ შეჩვეულნი. დღეს კი უჯრედის მუშაობა სათანადო დონეზეა დაყენებული. თუ პირველად ითვლებოდა 12 წევრი, ეხლა 27 წევრი ირიცხება.

უჯრედზე მიმაგრებული იქნა ორი ამხანაგი კომ. უნივერსიტეტიდან. მათი ინიციატივით დაარსდა პოლიტწრე, სადაც მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველ კვირაობით. მეცადინეობას აგრეთვე ესწრებიან უპარტიო ახალგაზრდა ქალიშვილებიც.

რაიკომის მიერ ამ უჯრედზე მიმაგრებული იქნა ორი აქტიური მომუშავე ქალიშვილი, რომ უჯრედის ორგანიზაციული მუშაობის დონე მაღლა დააყენონ.

ბოლო დროს მუშაობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. ყველა წევრები აქტიურად არიან ჩაბმული უჯრედის სხვადასხვაგვარ მუშაობაში და პირნათლად ასრულებენ ყოველივე დავალებებს. მორიგი კრებები იმართება სისტემატიურად, თავის დროზე. უჯრედის თაოსნობით გამოდის კედლის გაზეთი „ქალთა ხმა“, სადაც თავსდება მრავალი შენიშვნები უჯრედის ცხოვრების, ახალი ყოფა-ცხოვრების და აგრეთვე ქალთა საკითხის შესახებ.

უჯრედს განზრახული აქვს შეფობა აიღოს თბილისის მახლობლად რომელიმე კულტურულად დაბლა მდგომ სოფელზე.

ჩვენს უჯრედს აგრეთვე დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოებული უპარტიო ახალგაზრდათა შორის.

ახ. შ. კაჭკაჭაშვილი.

შავი-ქვის გაყიდვა და ექსპორტი

(იანვრიდან—ივნისამდე)

შავი ქვის გაყიდვა 1 იანვრიდან 1 ივნისამდე

შავი ქვის გაყიდვა მაისში თითქმის არ ყოფილა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 500 ტონას ჩვეულებრივი მადანისას და 170 ტონას პეროქსიდს.

მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე გაყიდულია სულ 111,920 ტონა, ამ რიცხვიდან 52.500 ტონა ჩვეულებრივი მადანია, 69.000 გარეცხილი, 170 ტონა პეროქსიდი და 250 ფენა. გასულ წლის განმავლობაში კი გაიყიდა სულ 400 ათასი ტონა.

ივნის-ივლისის განმავლობაში უნდა გადაეცეს მყიდველებს 58.800 ტონა, რომლებიც გაყიდული იქნა წინა თვეებში.

ამ რიცხვიდან 6.500 ტონა ჩვეულებრივი მადანია, 49.300 ტ. გარეცხილი და 1.000 პეროქსიდი.

ექსპორტი 5 თვის განმავლობაში

მაისში გაზიდულ იქნა 51.041 ტონა, ხოლო ა.-წ. 1 იანვრიდან პირველ ივნისამდე გატანილია სულ 196.617 ტონა. გატანის საშუალო თვიური ნორმა უდრის 40 ათას ტონას. განზრახული იყო თვიურად 50 ათასი ტონის გატანა.

გადაზიდვა რკინის-გზით

ა.-წ. პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე ე. ი. 5 თვის განმავლობაში ჭიათურის რკინის-გზით გადაზიდულა სულ 12.061.400 ფუთი. ამ რიცხვიდან იანვრის განმავლობაში ჭიათურის რკინის-გზით გადაუზიდავთ 911.400 ფუთი, თებერვალში—2.183.400 ფუთი. მარტში—2.794.600 ფუთი, აპრილში—2.802.400 ფუთი, მაისში—3.370.600.

მაისში გადაზიდულ 4.212 ვაგონიდან 5 ვაგონი გაიგზავნა საბჭოთა კავშირში, 14—ბათომში, დანარჩენი კი ფოთში.

საშუალო დღიური გადაზიდვა უდრიდა 140 ვაგონს.

ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია თბილისში

სადგურზე

გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: **მერი კვეილ**—დელეგაციის თავმჯდომარე, **ლიდი ასპინალ**—ფეიქართა კავშირიდან, **ანნა ლოკლეი**—მკერავთა კავშირიდან და **ბრიჯ**—მბეჭდავთა და



მერი კვეილ
დელეგაციის თავმჯდომარე
(ინგლისის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წევრი)

ამკინძავთა კავშირიდან. მათ თან ახლავთ ორი ქალი: **კოტც**—მთარგმნელი და **პერსელ**—სტენოგრაფისტი—მდივანი. დელეგაციას ჩამოჰყვა აგრეთვე სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი —**ჩერნიშოვა**.

სადგურზე დელეგაციას შეხვდენ თბილისის მუშა-ქალთა წარმომადგენლები **მარიამ ორახელაშვილის** მეთაურობით, ა.-კ. პროფსაბჭოს მდივანი **ხუმკოვი** და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ყურულაშვილი**.

დელეგაციის გადმოსვლას ვაგონიდან მუშა-ქალები „ვაშა“-ს ძახილით შეხვდენ. ამის საპასუხოთ დელეგატებმა გადმოისროლეს რამოდენიმე ლოზუნგი ინგლისურ ენაზე.

საქართველოს პროფსაბჭოს და მშრომელ ქალთა სახელით დელეგაციას მიესალმა მარიამ ორახელაშვილი.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა.

— თქვენი მეგობრობა—სთქვა მან—ჩვენთვის ძვირფასია სწორედ ეხლანდელ პერიოდში, როდესაც ჩვენი ყურადღება მიპყრობილია აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლებისაკენ და საერთოდ აღმოსავლეთში რევოლიუციონური მოძრაობისათვის დახმარების გაწევისაკენ, რაშიაც ჩვენ განსაკუთრებით ხელს გვიშლის ინგლისის მშრომელთა მტერი—ინგლისის ბურჟუაზია და აი საერთაშორისო ბურჟუაზიასთან ბრძოლის საქმეში თქვენი დახმარება ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

ჩვენ ვერ გაგაკვირვებთ თქვენ: ვერც განათლებით, ვერც ტეხნიკით და საერთოდ ვერაფრით. მაგრამ მაინც სიამაყით შეგვიძლია მიგიღოთ, რადგან ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მიმართულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ჩვენ გაჩვენებთ საქართველოს ნამდვილ სახეს და თქვენ დაინახავთ, თუ როგორ აწყობენ თავის ცხოვრებას საქართველოს მშრომელები.

ამას ერთერთმა დელეგატმა ქალმა უპასუხა შემდეგი შეძახილით:

„გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს, გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელებს“!—რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით და ოვაციებით შეხვდენ.

დელეგაცია სადგურიდან გაემგზავრა სასტუმრო „ორიანტში“.

დღეს დელეგაცია დაათვალიერებს თბილისის სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს: სკოლებს, პიონერთა ორგანიზაციებს, კლუბებს და სხ.

ხვალ დელეგაცია გაემგზავრება



ბრიჯ
(მბეჭდავთა კავშირის დელეგატი)

ბორჯომში. დელეგაცია აქ დარჩება ორი დღე.

თბილისის მუშა ქალების ყოფა-ცხოვრების გაცნობის შემდეგ დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრება მოსკოვში.

სალამი ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციას

მხურვალე სალამი ინგლისის ძველი შეკავშირებული სამრეწველო პროლეტარიატის წარმომადგენლებს საქართველოს მუშა და გლეხ ქალებისაგან.

ჩვენ მოხარული ვართ გიხილოთ თქვენ ჩვენს პატარა განახლებულ



ასპინალ
(ფეიქართა კავშირის დელეგატი)

საბჭოთა ტერიტორიაზე, ჩვენ თქვენი სახით მივესალმებით ინგლისის მთელს მუშათა კლასს, განსაკუთრებით მის შეგნებულ რევოლიუციონურ ნაწილს, რომელმაც გაბედულად და სერიოზულად იბრუნა თავისი პროლეტარული პირი საბჭოთა კავშირის მუშებისაკენ, რომელმაც თავისი დაკოჟრილი ხელი გაუწოდა საბჭოთა კავშირის მუშებს, რომლებმაც დაამარცხეს თავიანთი კლასობრივი მტერი, ხელში აიღეს ძალა-უფლება და განაგრძობენ ბრძოლას მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის!

ჩვენ განსაკუთრებით გვიხარია თქვენი ნახვა ამჟამად ჩვენში, რათა გიჩვენოთ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები მშრომელთა საკეთილდღეოდ, დაგარწმუნოთ ამაში ფაქტებით და მით განიმტკიცოთ და გავაღრმავოთ ჩვენი კავშირი თქვენთან.

ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიო რევოლიუციის დასაყრდნობ წერტილს; ერთი ეტაპი ამ რევოლიუციისა უკვე ვითარდება ამჟამად ჩინეთის მშრომელთა განმანთავისუფლებელ ნაციონალურ-რევოლიუციონური ბრძოლის სახით.

დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნების რევოლიუციონური პროლეტარიატის თანაგრძნობის, მონაწილეობის და აქტიური დახმარების გარეშე გაუძნელდება ჩინეთის სისხლიდან დაცლილ მშრომელ ხალხს გამარჯვება დაწყებულ ბრძოლაში. ამ მონაწილეობას, ამ დახმარებას ისინი მოელიან უმთავრესად ინგლისის რევოლიუციონური პროლეტარიატისაგან, რომლის კლასობრივი მტერი—ინგლისის ბურჟუაზია—წარმოადგენს მათ მთავარ მჩაგვრელს და სულთამხუთავს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის პროლეტარიატი გაამართლებს აღმოსავლეთის მშრომელ მასების იმედებს და მხარს დაუჭერს მათ ბრძოლაში. ამის თავდებია ერთიანი რევოლიუციონური ფრონტი, რომელიც უკვე ეწყობა, და ინგლისის მუშათა კლასის მეგობრობა საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ძვირფასო სტუმრებო! ტეხნიკით და სიმდიდრით ჩვენ ვერ გაგაკვირვებთ თქვენ, მაგრამ სამაგიეროდ სიამაყით თამამად გიჩვენებთ, რომ ყველაფერი, რაც მოიპოვება საქართველოში, ეკუთვნის მშრომელებს და



ლოკლენ
(მკერავთა პროფკავშირის დელეგატი)

ყველაფერი, რაც კეთდება—კეთდება მშრომელთა საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცეკასთან და თბილისის კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილება.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე მერი კვეილთან

ჩვენი ჩამოსვლის მიზანია—სთქვა მერი კვეილმა—საქართველოს მუშების შრომის და ყოფა-ცხოვრების და აგრეთვე წარმოების მდგომარეობის დაწვრილებით გაცნობა. ჩვენ აქ ჩამოვედით საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მოპატიჟების თანახმად.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის საერთო შთაბეჭდილებებს, მერი კვეილმა აღნიშნა, რომ თუ შევადარებთ ინგლისის პროფკავშირების წინანდელი დელეგაციების ანგარიშებს ეხლანდელ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა განუწყვეტლივ იზრდება და მისი აღდგენის საქმე ჩქარის ტემპით მიდის.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი—სთქვა მერი კვეილმა—ცდილობს გარდაქმნას თავისი საზოგადოება არა მარტო პოლიტიკურათ, არამედ ყოფა-ცხოვრების მხრივაც. ამას თვალნათლივ ამტკიცებს მუშათა საბინაო აღმშენებლობა, საზოგადოებრივი სამზარეულოები და სხვა.

ჩვენი მოგზაურობის დროს მოსკოვ-ლენინგრად-ტვერ-ყირიმ-როსტოვ-კისლოვოდსკ-გროზნა-ბაქო-თბილისს შორის ჩვენ მოწმენი ვიყავით საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების ზრდის. განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ბაქომ. ბაქოს და მისი სარეწავების დათვალიერებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ მუშებმა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეს არავის არ დაუთმონ თავისი მონაპოვარი. მრეწველობა, რომელიც მუშების ხელშია, დღითიდღე მტკიცდება და იზრდება.

რაც შეეხება ქალთა მოძრაობას, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მხოლოდ ბაქოში შევიგნეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თავისუფლებას აღმოსავლეთის დაჩაგრულ ქალებისათვის. აღმოსავლეთის ქალი მონობის უღლისაგან გაათავისუფლა საბჭოთა ხელისუფლებამ. თურქი ქალი ეხლა საბჭოთა სინამდვილის პირობებში ჰქმნის თავის ახალ ცხოვრებას. ქალთა შორის წარმოებულ მუშაობას, რომელმაც დიდი ნაყოფი გამოიღო, უნდა მივესალმოთ, რადგან ქალი ყველა საკითხებში მამაკაცთან ერთად უნდა იყოს.

მთავარი, რასაც მე მინდა მივაქციო ყურადღება. ეს არის კურორ-



პერსელ
(დელეგაციის სტენოგრაფი)

ტები. იქ, ყირიმში, სადაც წინედ მდიდრები ისვენებდენ, ჩვენ შევხვდით მუშებს და გლეხებს, რასაც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. საბჭოთა კურორტები აღიარებული უნდა იქნეს **საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ერთერთ უდიდეს მონაპოვრათ.**

რაც შეეხება საქართველოს, მე უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ აქ არ ჩამოსულვართ სპეციალური დავალებებით, მაგრამ ჩვენ მოხარული ვიქნებით გავეცნოთ ქვეყნის საერთო მდგომარეობას, რომ საშუალება გვქონდეს ინგლისში დაბრუნებისას გავაცნოთ ინგლისის მუშათა კლასს საქმითა ნამდვილი ვითარება. მე რამოდენიმეთ უკვე ვიცნობ საქართველოს მდგომარეობას, რადგან მე ვიყავი იმ კომისიის წევრი, რომელიც იხილავდა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის მოხსენებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, არჩევნების დროს, ჩვენ აგიტაციას ვეწეოდით საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ინგლისში დაბრუნებისას ჩვენ პერსელის დელეგაციის მაგვარათ გამოვსცემთ სპეციალურ ანგარიშს, წავიკითხავთ ლექციებს და სხვა, რომ გავაცნოთ ინგლისის მუშათა კლასს ის დიდი მუშაობა, რომელიც შეასრულეს საბჭოთა კავშირის მუშებმა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის განსამტკიცებლათ.

პერსელის ანგარიშის გამოქვეყნებამდი ინგლისში ბურჟუაზიულმა პრესამ გამოსცა რამოდენიმე ბროშიურა, რომლებშიაც სრულიად დამახინჯებულია სინამდვილე, მაგრამ ამ ბროშიურებს არავინ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს **პერსელის ანგარიშის პირველი გამოცემა—10.000—ცალი გაყიდული იქნა სავსებით. ეხლა იბეჭდება მეორე გამოცემა.**

ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი

14 ივნისს საღამოს მუშათა სასახლეში გაიხსნა ა. კ. ფიზკულტურის თათბირი. სხდომა გახსნა ამხ. იაკუბოვმა, რომელიც მიესალმა თათბირს და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

თათბირს მიესალმენ სპორტ-ინტერნის სახელით ამხ. **ლემბერგი**, საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელით—ამ. გ. **სტურუა**, წითელი არმიის სახელით—ამხ. მელნიკოვი, კომკავშირის ცეკას—ამხ. **გეგეჭკორი**, ჯანსახკომის—ამხ. **მარკარიანი**, საქ. ფიზკულტურის საბჭოდან—ამხ. გ. მერკვილაძე, ა. კ. პროფსაბჭოთა—კასსიევი.

პრეზიდიუმის არჩევის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ თათბირი შეუდგა მოხსენების მოსმენას.

ფიზკულტურის საქმის მდგომარეობა

(მომხ. ამხ. ლემბერგი)

მომხსენებელი შეეხო ფიზკულტურის მდგომარეობას ბურჟუაზიულ ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში და შეადარა ისინი ერთმანეთს.

ბურჟუაზია ფიზკულტურას იყენებს სამხედრო მიზნებისათვის, ხოლო პროლეტარიატი მშრომელი ხალხის ფიზიკურად გასაჯანსაღებლად.

ფიზკულტურა, სამწუხაროდ, სათანადო დონეზე ვერ არის დაყენებული საბჭოთა ქვეყნებში, სადაც ფიზკულტურას მისდევს მცხოვრებთა მეტად განსაზღვრული პროცენტი. 130 მილიონ მცხოვრებთაგან ფიზკულტურის წევრებათ ითვლება მხოლოდ 630.000 კაცი. ხოლო გერმანიის 67 მილიონ მცხოვრებთაგან ფიზკულტურას მისდევს 7 ნახევარი მილიონი მოქალაქე. ახკომკავშირელებიდან ფიზკულტურის წევრია—76 ათასი კაცი, ხოლო კომკავშირელთა რიცხვა უდრის 1 მილიონს. პარტიულებიდან ფიზკულტურის წევრები შეადგენენ მხოლოდ 9.000 კაცს ასეთივე მცირე პროცენტს იძლევა პროფკავშირები. 6 მილიონი წევრიდან ფიზკულტურას მისდევს 90.000 კაცი.

დიდი მუშაობაა საჭირო, რომ ფიზკულტურის გავლენაში მოჰყვეს მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა. ამისთვის საჭიროა, რომ ფიზკულტურის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

საჭიროა, რომ ფიზკულტურის მეცადინეობის ხასიათი, რომელიც უფრო ახლა ჯამბაზობას წარმოადგენს, შეიცვალოს ნამდვილი ფიზიკური ვარჯიშით, რომელიც გააჯანსაღებს ორგანიზმს.

გარდა ამისა ფიზკულტურის წევრს უნდა მიეცეს იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. კომკავშირის საშუალებით ფიზკულტურის წევრები პოლიტიკურად უნდა აღიზარდონ.

ფიზკულტურა რომ ყველასათვის მისაწვდომი გახდეს, იგი უნდა შეეფარდოს ადგილობრივ პირებობს, ე. ი. ამა თუ იმ მხარეში უნდა განვითარდეს იმ სახის ვარჯიშობა, რომელიც ხალხს ჩვეულებად გადაქცევია.

სპორტ-ინტერნის ლოზუნგი ასეთია: „ფიზკულტურა უნდა იყოს სასარგებლო, ხელმისაწვდომი და მასსიური“.

პროლეტარულ ფიზკულტურის ამოცანა არის—მშრომელთა პარტმასების მომზადება მსოფლიო რევოლიუციისათვის, რისთვისაც საჭიროა მშრომელთა მასსები შეეჩვიონ დისციპლინას, გამძლეობას და სულიერ მხნეობას.

მხოლოდ ასეთი გარემოებები აძლევენ საშუალებას დას. ევროპის სახელმწიფოებს იმპერიალისტურ ომის დროს მოეხდინათ ფართო და სწრაფი მობილიზაცია თავის არმიის.

მომხსენებელი ეხება წითელ სპორტინტერნის ისტორიას, საიდანაც ირკვევა, რომ მისი ჩამოყალიბების ინიციატივა ეკუთვნის ამხ. პოდვოისკის, რომელი აზრიც მან წამოაყენა 1920 წელს.

ამ ინტერნაციონალმა უკვე მოიწვია 3 კონგრესი, საიდანაც ვხედავთ, რომ იგი თანდათან ფართოვდება; მაგ. მე-3 კონგრესზე წარმოდგენილი იყო 21 ქვეყნის წარმომადგენლები. მის მთავარ მიზანს შეადგენს მთლიანი პროლეტარული ფიზკულტურის ფრონტის შექმნა.

ივლისში ფრანკფურტში ეწყობა მსოფლიო ოლიმპიადა, რომელზედაც წითელ სპორტინტერნის წარმომადგენლები არ უნდათ დაუშვან, მაგრამ ჩვენ ყოველ ღონეს მოვიხმართ, რომ საბჭოთა პროლეტარული სპორტსმენები შევახვედროთ ევროპისას.

თუ აქამდე ჩვენი ინტერნაციონალის ყურადღება მიპყრობილი იყო ევროპისაკენ, ეხლა იგი უნდა გადვიტანოთ აღმოსავლეთში.

ამისათვის ჩვენს სპორტინტერნს დასახული აქვს მიზნათ აღმოსავლეთის თითოეული ერის ზნე-ჩვეულების შესწავლა და ამგვარად მიდგომა საკითხისადმი, რაშიაც მას ძალზე დაეხმარება ა/კავკასიის ფედერაცია, როგორც კარი აღმოსავლეთისაკენ; აქ უნდა შევქმნათ საცდელი ინსტიტუტი, ლაბორატორია ამ საკითხის შესწავლისათვის, რის გამოც ა/კავკასიას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება.

უსათუოდ საჭიროა, რათა ა/კავკასიაში მოვაწყოთ საერთო აღმოსავლეთის სტადიონი, სადაც აღმოსავლეთის ერები ერთმანეთს შეხვდებიან—ათავებს თავის მოხსენებას ამხ. ლემბერგი.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათამდე ორატორმა, რომელთაც მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა.

ს. ს. ს. რ. საქ. კომისართა საბჭო

ამხ. მელნიჩანსკი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩანსკი, რომელიც მიემგზავრება ბორჯომში.

საუბარი ამხ. მელნიჩანსკისთან

პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. მელნიჩანსკიმ ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კონფერენციის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოეთის პროფკავშირებში. მას დიდი ყურადღებით მოექცნენ როგორც ამსტერდამის ინტერნაციონალის მომხრე პროფკავშირები, ისე ისეთები, რომლებიც არ შედიან არც ერთ პროფესიონალურ გაერთიანებაში. მაგალითად, 100-დე კავშირმა, რომლებიც შედიან საფრანგეთის შრომის რეფორმისტულ ფედერაციაში, გამოიტანა რეზოლიუცია გაერთიანების შესახებ.

პროფკავშირების ნორვეგიის ცენტრმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც სავსებით უერთდება ჩვენი კონფერენციის გადაწყვეტილებებს და სურვილს გამოსთქვამს შეუერთდეს ინგლის-რუსეთის სათათბირო კომიტეტს. კონფერენციას გამოეხმაურენ აგრეთვე ბელგიაში, სადაც მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მრავალ პროფესიონალურ ორგანიზაციებს, ამას წინად გამოუშვეს დეკლარაცია ჟურნალ „ერთობის" გამოშვების შესახებ. ამჟამად ყველაზე უფრო საპირბოროტო საკითხს, რომელიც აღელვებს ფართო მასებს, წარმოადგენს საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის საკითხი.

ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთ-ინგლისის სათათბირო კომიტეტის არსებობა, მისი მუშაობა დააჩქარებს ამ მთლიანობის განხორციელებას.

ინგლისის პირველი დელეგაციის ყოფნამ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში საშუალება მისცა ინგლისის პროფკავშირებს უშუალოდ გასცნობოდენ ჩვენი ცხოვრების ნამდვილ პირობებს, მუშათა მოძრაობის ფორმებს და ხასიათს. ამ მხრივ ინგლისის დელეგაციის მოხსენება, რომელიც გავრცელდა ინგლისში რამოდენიმე ათას ეგზემპლიარად, გერმანიაში 50 ათას ეგზემპლიარად, ყუმბარასავით გასკდა მენშევიკების, ესერების და თეთგვარდიელთა წრეებში. მათ ასტეხეს საშინელი განგაში და გააძლიერეს გაბორეტებული გამოლაშქრება. მენშევიკებმა ყოველივე ძალღონე იხმარეს, რომ სახელი გაეტეხათ დელეგაციისათვის. მენშევიკებმა აამუშავეს თავისი მძიმე არტილერია ადლერის და დანის სახით, რომლებმაც გამოუშვეს ბროშიურა ამ ანგარიშის შესახებ. თეთრ გვარდიელებიც ამზადებენ თავის პასუხს. ჩემ ინგლისელ მეგობრებისგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ბ-ნი ტრეტიაკოვები, ლიანოზოვები, საბლინევი და მათი კომპანია, ინგლისის ბურჟუაზიული პრესის დახმარებით, აპირებენ ისეთი ანგარიშის შედგენას, რომელიც მათი გადაწყვეტილებით არც გარეგნულად, არც მასალების დალაგებით და არც ენით არ უნდა განსხვავდებოდეს ნამდვილ ინგლისურ მოხსენებისაგან. ეს ვაჟბატონები იძულებული არიან აღიარონ, რომ მოხსენებაში აწერილია საბჭოთა კავშირის ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ სცდილობენ ყოველმხრივ გამოძებნონ რაღაც ისეთი მასალა, რომელიც სახელს გაუტეხს დელეგაციას.

ინგლისის მუშათა კრებებზე ამჟამად ძალიან სახიფათო საქმეა საბჭოთა კავშირის და ჩვენი პროფესიონალური მოძრაობის წინააღმდეგ გამოსვლა. ინგლისელმა ამხანაგებმა დამატებით გამოგზავნეს სპეციალური დელეგაცია ქალთა შორის მუშაობის და პიონერთა მოძრაობის გასაცნობათ.

ახლო მომავალში ჩვენ ველოდებით სამთო-მადნო მუშების საერთაშორისო ინტერნაციონალის დელეგაციას გენერალურ მდივნის ხოჯსონის მეთაურობით, ჩვენ ველოდებით აგრეთვე საფრანგეთის რეფორმისტულ პროფკავშირების დელეგაციას და დაზგასთან მომუშავე მუშებს გერმანიიდან. 20 ივლისს ლენინგრადში ველოდებით 300 შვეციელ მუშის ექსკურსიას. ყველაფერი ეს ნათლად მოწმობს, რომ იზრდება ჩვენდამი ინტერესი და სოლიდარობა უცხოეთის მუშებს შორის.

ამსტერდამის ინტერნაციონალი და ჩვენი პროფკავშირთა საბჭო

ამსტერდამელებმა ცოტათი შეიცვალეს კილო რუსეთ-ინგლისის კონფერენციის შემდეგ და სცდილობენ საქმე ისე გააშუქონ, თითქოს, ჩვენ, პროფესიონალისტები, ამხ. ტომსკის მეთაურობით, გადატრიალებას მოვახდენთ იმ ურთიერთობაში, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს მუშათა მოძრაობაში, თითქოს ჩვენი პროფსაბჭოს პრეზიდიუმის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ „გავანთავისუფლოთ რუსეთის პროფესიონალური მოძრაობა კომუნისტური პარტიის გავლენისაგან, რომ ჩვენ ინგლისელების დახმარებით სულგრძელობას და მფარველობას ვსთხოვდეთ ამსტერდამელებს".

ასე აშუქებს საქმის ვითარებას ცნობილი უდეგესტი თავის წერილში.

ჩვენ სულგრძელობა არ გვითხოვნია ამსტერდამელებისათვის. მძიმე წლეებში, ჩვენ ვიბრძოდით და ეხლა, როცა ჩვენ გამარჯვებული გამოვედით, ჩვენ შევსძლებთ ბრძოლას პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის, და თუ ამას უდეგესტი და მისი კომპანია ვერ გაიგებენ, მთლიანობა მიღწეული იქნება მათ გარეშეც, რადგან ამას მოითხოვს თვით ცხოვრება.

საკითხი, თუ როგორ მივიღებთ ჩვენ ოფიციალურ ცნობას ჩვენი წინადადების შესახებ, განხილული იქნება ამსტერდამის ინტერნაციონალის მახლობელ სხდომაზე, რომელიც შესდგება ივლისის ბოლოს.

ამხ. ლ. კამენევის მოხსენება

თბილისის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე

გუშინ, 15 ივნისს, საღამოს 7 საათზე, საოპერო თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს გაფართოებული სხდომა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად. სხდომა გახსნა ამხ. ლადო სუხიშვილმა, რომელმაც დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ, საბჭოს აუწყა, რომ პირველ მოხსენებას საბჭოთა მესამე ყრილობის შედეგებზე გააკეთებს ამხ. კამენევი.

სცენაზე გამოდის ამხ. ლ. კამენევი. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ოვაციებს უმართავს.

ამხ. კამენევი ვრცლად ჩერდება იმ ამოცანებზე, რომელნიც იდგა კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე, მე-14 პარტ-კონფერენციაზე და საბჭოთა მესამე ყრილობაზე.

კაპიტალიზმის დროებითი განმტკიცება

იმ მოვლენებმა, რომელთაც უკანასკნელ პერიოდში ჰქონდათ ადგილი ევროპაში—პაციფისტურ-დემოკრატიულ ერის აშკარა რეაქციონურ მმართველობით შეცვლა ევროპის სამს მთავარ სახელმწიფოში, ცხადჰყვეს, რომ კაპიტალიზმი განიცდის დროებით სტაბილიზაციას, რომელიც რამოდენიმეთ მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკის შედეგიც არის.

დემოკრატიული ილიუზიები

ილიუზია, რომ სამოქალაქო ომის გვერდის აქცევით, შეიძლება მუშურ დემოკრატიული წყობილების დამყარება, გაიფანტა. ხელისუფლების სათავეში დროებით მოქცეულმა მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლება დაამტკიცეს, რომ სამოქალაქო ომის გარეშე შეაძლებელია პროლეტარიატის მშვიდობიანი დაპყრობა ჩემბერლენების და ჰინდენბურგების მიერ.

მაკდონალდის მთავრობამ სახელი გაუტეხა მუშათა მმართველობას, რადგან ოდნავათაც ვერ შეამსუბუქა მშრომელთა მძიმე მდგომარეობა. ამიტომ კაპიტალიზმის დროებითი განმტკიცება მომზადებულია მეორე ინტერნაციონალის პარტიების მიერ.

ლიკვიდატორული ილიუზიების უსაფუძვლობა.

სტაბილიზაცია მომხდარი ფაქტია, მაგრამ იგი არ იძლევა საფუძველს ლიკვიდატორული ილიუზიებისათვის, არ გვაძლევს საბაბს ვსთქვათ, რომ იგი—კაპიტალიზმის განმტკიცება—არის ხანგრძლივი მოვლენა, რომელიც შემდეგისათვის კიდევ უფრო გაძლიერდება. მათ, ვისაც სჯერათ კაპიტალიზმის ხანგრძლივი სტაბილიზაცია, უნდა დაამტკიცონ, რომ ის ტენდენციები წინააღმდეგი და მამოძრავებელი ძალები, რომელნიც ძირს უთხრიან თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებრიობას, უკვე გამქრალან და აღარ მოქმედებენ. ამის დამტკიცება კი შეუძლებელია, რადგან კაპიტალისტურ წიაღში არსებული წინააღმდეგობანი დღითი-დღე მწვავდებიან და არ არსებობს არავითარი წამალი მათ შესანელებლად.

ჰინდენბურგის არჩევა გერმანიაში ნიშნავს აქტიური საგარეო პოლიტიკის დაწყებას და ურთიერთობის გართულებას საფრანგეთთან, საფრანგეთის შეუჩერებელი ფინანსიური კრიზისი მუდამ მიზეზი იქნება სხვადასხვა მთავრობათა ცვლის და მერყევი მდგომარეობის.

ბოლგარეთის უკანასკნელი სისხლიანი ამბების მაჩვენებელია მისი, რომ ბალკანეთშიაც დღითი დღე იზრდებიან სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობანი.

ყველა ეს მოვლენები კმარა საბუთად, რომ კაპიტალიზმის განმტკიცება არის მოვლენა დროებითი და მტკიცე ნიადაგს მოკლებული.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში

ბურჟუაზიის სტაბილიზაციის დროებითი ხასიათი უფრო ცხადი იქნება, თუ თვალს გადავავლებთ იმ დიდ ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. ომი მაროკოში და დიდი ეროვნული მოძრაობა ჩინეთში არის დაწყება იმ ამბების, რომელნიც ასამარებენ თანამედროვე ევროპიულ სახელმწიფოთა იმპერიალიზმს.

შეიძლება ომი რიფებისა ფრანგებთან მაროკოში საფრანგეთის 100 ათასიანმა ლაშქარმა და უმაღლესმა ტეხნიკამ დაამარცხოს, მაგრამ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუდმივ ამოწვდილ მახვილად დარჩება საფრანგეთის პარლამენტის ტრიბუნიდან წარმოთქმული მოწოდება ფრანგი კომუნისტების, რომელნიც მაროკოში მომქმედ ფრანგ ჯარისკაცებიდან მოითხოვენ შეატრიალონ თავიანთი ხიშტები თვით თავის მთავრობის და ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ მაროკოდან დაწყებული თვით საფრანგეთამდე.

ასეთივე ხასიათის, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობის არის ჩინეთში დაწყებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ძალიან განსხვავდება ისტორიაში აქამდე შემჩნეულ ეროვნულ მოძრაობიდან იმით, რომ ამ დიდ მოძრაობას დღეს ზურგი აქვს გამაგრებული. ამ განმანთავისუფლებელ მოძრაობას მხნეობას და სიმტკიცეს აძლევს მეზობლობა საბჭოთა ქვეყნების, რომელნიც ერთგულ დარაჯათ უდგანან აღმოსავლეთის დაბეჩავებულ ერებს. მეორე მხრივ, ჩინეთის ამბები ევროპის მუშათა აზროვნებაში ახდენს საფუძვლიან გარდატეხას. პერსელის განცხადება, რომ ჩინეთს უნდა წაბაძოს ინდოეთმაც, ნიშნავს იმას, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობაში იწყება ახალი რევოლიუციონური პერიოდი, რომ იგი თავს აღწევს მეორე ინტერნაციონალის გავლენას და დგება მშრომელთა სოლიდარობის და კლასთა ბრძოლის ნიადაგზე...

ამგვარად შინაური წინააღმდეგობანი და გართულებული მდგომარეობა კოლონიებში შეუძლებელს ხდის კაპიტალიზმის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ სტაბილიზაციას.

ის ფარული ძალები, რომელნიც არღვევენ კაპიტალიზმს, ადრე თუ გვიან თავს იჩენენ აშკარად. აი ამ მომენტისათვის უნდა იყოს მზად ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს რა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობას, დაასკვნის, რომ სასოფლო მეურნეობის აღორძინება და საქალაქო მრეწველობის წარმატება ჰქმნის საუკეთესო ნიადაგს მუშათა და გლეხთა დაკავშირებისათვის, რაც აუცილებელი პირობაა მუშათა დიქტატურის გამარჯვებისა მთელ მსოფლიოში.

ამხ. კამენევს მეტად შინაარსიანი მოხსენებისთვის მქუხარე ტაშით აჯილდოვებენ.

ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია

დიდის აღფრთოვანებით ეგებება გაჭედილი დარბაზი ინგლისის მუშაქალთა დელეგაციის გამოჩენას სცენაზე.

თბილისის საბჭოს სახელით მათ მოკლე სიტყვით მიმართავს ამხ. ლ. სუხიშვილი, თბილისის მუშა-ქალთა სახელით ამხ. გიორგაძის ქალი.

მას უპასუხებენ ინგლისელი ქალები, რომელნიც ესალმებიან რუსულად და ქართულად წარმოთქმული წინადადებით „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას, საქართველოს მუშა ხალხს, კომკავშირს და წითელ ჯარს".

ამხ. კამენევის მოხსენების მიხედვით საბჭო იღებს რეზოლიუციას, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

საბჭოს გაფართოებული სხდომა ინტერნაციონალის მღერით საღამოს 9 ნახ. საათზე იხურება.

საქ. სახალხო საბჭოში

თემ-აღმასკომების მდივნების მოსამზადებელი კურსები

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის განკარგულებაში გადაიდო 5.883 მან. თემ-აღმასკომის მდივნების მოსამზადებელ კურსების მოსაწყობათ.

რესპუბლიკის მილიციის უფროსი შემადგენლობის მოსამზადებელი კურსები

სახალხო კომისართა საბჭოს თანხებიდან გაღებულია 8.845 მან. 32 კაპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში რესპუბლიკის მილიციის უფროსი შემადგენლობის მოსამზადებელ კურსების საჭიროებისათვის.

100.000 მან. გადადება ალაგირელ ლტოლვილთათვის

ალაგირელ ლტოლვილთათვის ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გაღებული 100.000 მან. მიზანშეწონილად განაწილების მიზნით დაარსდა კომიტეტი ამხ. ა. ვაშაძის, ა. ქუთარაძის, ვარამაშვილის და ორი ალაგირელ ლტოლვილთა წარმომადგენლის შემადგენლობით.

საექიმო დახმარება წითელ-არმიელთათვის

წინადადება მიეცა ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა სამაზრო აღმასკომის მიერ წითელარმიელთათვის საექიმო დახმარების დროს გაწეულ ხარჯებისა.

ეთხოვა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს, დაფარულ იქნას აღნიშნული დავალიანება სამაზრო აღმასკომისადმი სათანადო თანხებიდან.

დახმარება დემობილიზაცია-ქმნილ უმუშევარ წითელარმიელთ

წინადადება მიეცა შრომის სახ. კომისარიატს დემობილიზაციაქმნილი უმუშევარი წითელარმიელები პირველ რიგში იქნან გაგზავნილი, როგორც მუდმივ, აგრეთვე საზოგადო სამუშაოებზე.

საქ. სახკომისარიატების კოლეგია

წინადადება მიეცა ყველა სახალხო კომისარიატებს წარმოადგინონ სახ. კომისართა საბჭოში თავიანთი კომისარიატების კოლეგიის შემადგენლობის სიები დასამტკიცებლად.

დადგენილების პროექტი ქალაქთა სიის დამტკიცების შესახებ

საქ. სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასკვნისათვის გადმოგზავნილი დადგენილების პროექტი იმ ქალაქთა სიის შესახებ, რომელნიც უნდა იქნენ ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უდიდესი რაოდენობით დაბეგრილი.

ქრონიკა

— **კაბელი მიწის ქვეშ.** თბ. ტრამვაიმ მიიღო 1,600 ფუთი ტრამვაისათვის საჭირო მიწის ქვეშ დასაგები კაბელი.

— **ქოხ-სამკითხველოების** გამგეთა მოსამზადებელი კურსები პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ გაიხსნება 1 აგვისტოდან.

— **საექიმო იარაღები.** ჯანსახკომმა დამატებით გამოიწერა საზღვარგარეთიდან 9 ათასი მანეთის გაუმჯობესებული საექიმო იარაღები.

— **დახმარება მშობიარეთ.** მაისის განმავლობაში თბ. დამზღვევ კასამ დახმარების სახით მშობიარეთ დაურიგა 4,305 მანეთი.

— **სამღებრო ცეხი.** ტრამვაის სახელოსნოებთან განზრახულია სამღებრო ცეხის მოწყობა.

— **ტრამვაის მოძრაობის მაჩვენებელი.** ახლო ხანში თბ. ქუჩებში ტრამვაის სადგურებთან გამოკიდებული იქნება ტრამვაის მოძრაობის მაჩვენებელი აბრები.

— **ტრამვაის მაისის** განმავლობაში გადაუყვანია 3,130,920 მგზავრი.

— **მცირეწლოვანთა საქმეების** განმხილველ კომისიაში მაისის განმავლობაში შემოვიდა სულ 45 საქმე, რომლიდანაც სხვადასხვა დანაშაულობის ჩადენაში ბრალი ედებოდა 58 ბავშვს, მათ შორის 3 ქალია.

— **კერძო ვაჭართა სექცია.** დღეს თბილისის ბირჟის შენობაში დანიშნულია თათბირის სავაჭრო-სამრეწველო, საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა და კერძო ვაჭართა მონაწილეობით, თბ. ბირჟასთან კერძო ვაჭართა სექციის დაარსების საკითხის გასარჩევათ.

— **ტრაქტორის შეძენა.** ოზურგეთის სამაზრო გლეხკომმა შეიძინა ტრაქტორი და გადაგზავნა ლანჩხუთში სამუშაოდ.

— **ოზურგეთ-ნატანების რკინის გზა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა რკინისგზათა სამმართველოს წინაშე, რომ ოზურგეთ-ნატანების რკინისგზა ჩარიცხული იქნას საკავშირო რკინისგზათა ქსელში.

— **აგარაკზე გაგზავნა.** თბ. დამზღვევი სალარო აბასთუმანში, ცემში და ბორჯომში პირველად გზავნის 60 დაზღვეულს.

— **საბურთალოს ჭაობების ამოშრობა.** შრომის ბირჟამ ამხ. ამხ. ჯულელს და კუშნერს მიანდო საბურთალოს ჭაობების ამოშრობის საკითხების გამორკვევა საზოგადო სამუშაოების მოწყობის მიზნით.

— **იურიდიული დახმარება უმუშევრებს.** შრომის ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა შრომის ბირჟასთან მოწყობილი იქნას უმუშევართათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა.

— **უპროცენტო სესხი მუშებს.** მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის დადგენილებით ადგილობრივ და სარესპუბლიკო თანხებიდან საბინაო კოოპერაციებს სესხი მიეცემათ უპროცენტოთ.

— **მუშა ცხენების დოღი.** ცხენთა საჯიშოების განყოფილებამ გადასწყვიტა შემოდგომის დოღის სეზონში ყოველ კვირაში გაიმართება მუშა-ცხენების შეჯიბრება ტვირთის წაღებასა და სიჩქარეში. დოღში მონაწილეობას მიიღებენ გლეხების ცხენები.

— **ჭირის წინააღმდეგ.** სოფ. თელეთში (თბ. მაზრა) საქონლის ჭირთან საბრძოლველათ მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა გაგზავნა 2 ექიმი და 60 ლიტრა შრატი.

— **მიმდინარე წლის** 1 აპრილისათვის საქართველოში ითვლებოდა 6451 წარმოება-დაწესებულება, რომელთა მუშა-მოსამსახურენი არიან დაზღვეულნი.

— **ექიმების აღრიცხვა.** თბ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებამ დაადგინა მოახდინოს თბილისში მცხოვრებ ექიმთა აღრიცხვა. აღრიცხვა იწარმოებს დღეიდან აგვისტოს 8-მდე.

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში** სამშაბათს, 16 ივნისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის საავდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხულ იქნება მაკარ ხუბუას მიერ მოხსენება: „პირველი და მეორე პირის სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსები მეგრულში". სხდომის დასაწყისი სრულ 8 საათზე.

პატარა ფელეტონი

სამების კავშირი

„ხელი ხელსა ჰბანს, ორივე პირს"

ორშაბათ დილა გათენდა
რა ავი დარი დგებაო?
ეს თომა ჩიქვანაია
საომრად ემზადებაო!
ამხანაგები მოძებნა,
კასრაძე ძლივას ჩნდებაო!
იორამ არსენიშვილი
თავის ქერქიდან ძვრებაო!
პენსნებს ისწორებს თვალებზე,
ფიქრისგან ოფლი სქდებაო!
შეამხანაგდა სამება,
კავშირი მათი დგებაო.
წავიდნენ იქ მიცუნცულდნენ,
სადაც კასირი ჯდებაო;
გამოიწერე, გვიბოძე
ფული ჩვენც შეგვერგებაო,
თორემ შავს დღეს დაგაყენებთ
ცულს მოვიტანთ,
ცუნცულასა,
მანდატებსა,
ბრძანებებსა,
შენც შეგჭამთ და
შენ ფულსაცა.

კაპანელს წარმოუდგენენ,
არ უნდა ტომებს ქებაო!
ქართულ-რუსულად-ფრანგულად
ვისაც არ სჯერა, სცდებაო.

—

სამთავემ გადინადირეს
ტრესტი და ნეპო სვიანი;
განცხადებანი მოკრიფეს,
„მნათობი" დახვდათ რქიანი!
გაარღვევს ჩიქვანაია,
მეგრელი არის ფხიანი.
„კავკასიონსა" წიხლი ჰკრა
„დროშა" დასტოვა მცვრიანი.
პირ-იქით ვალიც ემართოს,
მას შველის წმინდანიანი.

—

სანამ ტომებს გამოსცემდნენ,
თვის თავს მისცეს საძოვარი;
შემდეგ მათთვის ერთი არის,
თუნდ სთქვან ჰო და თუნდ
უარი!

ფიდო ლამია.

ხელოვნება

— **ხატვისა და ძერწვის კურსები.** განზრახულია სამხატვრო აკადემიასთან ზაფხულის განმავლობაში გაიხსნას ხატვისა და ძერწვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.

— **სახვითი ხელოვნების მუზეუმი და ბიბლიოთეკა.** სამხატვრო აკადემიამ აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა მომავალი სამოსწავლო წლიდან აკადემიასთან მოწყობილი იქნეს სახვითი ხელოვნების ყველა დარგის მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

— **სამხატვრო აკადემიის მუშაობის** გაფართოების მიზნით აკადემიამ აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა აკადემიის შენობის კერძო მდგმურებისაგან გასანთავისუფლებლათ მიღებული იქნას სათანადო ზომები.

— **აკადემიური დრამის გასტროლები თელავში.** ამა თვის დამლევს სავსებით დასრულდება თელავის თეატრის მოწყობა. ამ დროისათვის სახელმწიფო აკადემიური დრამა მიწვეული იქნა მთელი რიგი წარმოდგენების გასამართავად.

— **საოპერო წარმოდგენები პროვინციებში.** შესდგა ოპერის მსახიობთა კოლექტივი, რომელიც პროვინციებში გამართავს საოპერო წარმოდგენებს.

— **კოლა ლომთათიძის ნაწერების** ორივე ტომი გამოვა ივნისის დამლევს.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბალი.** დღეს, თეატრში წარმოდგენა უკრაინულ ენაზე—„ცოდვა"—ვინიჩენკოსი. ბალში სურათი—„მაღლა და წინ".

— **ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების მეორე წიგნი.** ახლო ხანში გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების მეორე წიგნი.

— **„ჰამლეტი".** მომავალ სეზონისათვის კ. მარჯანიშვილი ამზადებს „ჰამლეტს". ჰამლეტის როლს შეასრულებენ სხვადასხვა დროს გ. დავითაშვილი და ვ. ჩხეიძე.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 13 ივნისს, დილის 10 საათზე, მოქ. პროხორი ნავიცკი, რომელიც სამუშაოდ მიდიოდა უხმარაში, უცაბედათ დაიჭრა მარცხენა ფერდში წითელ-არმიელისაგან გასროლილი ტყვიით წითელ-არმიელების სამაცადინო სროლის დროს. დაჭრილი მოთავსებული იქნა მანგლისის საავადმყოფოში.

— **ოსმალეთის გენერალურ კონსულის ბინის გაქურდვა.** 12 ივნისს, განოვის ქ. № 19—24, ოსმალეთის გენერალური კონსულის თანაშემწის ნერობეის ბინა გაქურდა მისივე მოსამსახურე ქალმა ნაუმენკომ, საიდანაც წაუღია სხვადასხვა ნივთები და ფული სულ 1300 მანეთის.

— **თეთრეულის მოპარვა.** 12 ივნისს, ღამით, რუსთაველის პრ. № 176, ტიმოთე ხელაძის დერეფნიდან მოპარული იქნა თოკზე გადაფენილი თეთრეულობა.

— ამავე დღეს, ამავე სახლში გაქურდული იქნა ილარიონ ნაცვლიშვილის ბინა.

— **შეპყრობა.** 13 ივნისს შეიპყრეს ლევან არაქელოვი, რომელსაც ბრალდება გარეგინ სააკოვისათვის საბაჟოს ქუჩაზე სხვადასხვა ნავაჭრი ნივთების მოპარვა.

— **ცეცხლი.** 13 ივნისს, საღამოს 9 საათზე ლენინის ქ. № 22, მოქ. ვართანოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

— 14 ივნისს, დღის 3 საათზე, ლენინის ქ. № 40, ელექტრონის მავთულების შეერთებით ცეცხლი გაუჩნდა მარიამ მესხის ბინას. ცეცხლი ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

— **დახრჩობა.** 14 ივნისს, დღის 3 საათზე მტკვარში დაიხრჩო 8 წლის ბავშვი ილიკო წიკლაური.

— **ვერ მოახწრო.** 13 ივნისს, დილის 5 საათზე, კალოუბნის ქ. № 14, მოქ. ერაძის ბინაზე შეიპყრეს პირველ გამასწორებელ სახლის პატიმარი ვართან ბადალოვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა. ბადალოვს საპატიმროდან ჰქონდა ერთი დღის შვებულება.

— **კლდიდან გადავარდნა.** 14 ივნისს, დილის 6 საათზე, კოჯრის გზაზე ბაღი „პალერმოს" მახლობლად კლდიდან გადავარდნილან ორი უცნობი მოქალაქე, 1 მათგანი მომკვდარა, მეორე კი ცოცხალმკვდარი გადაგზავნილი იქნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

— **შეპყრობა.** 14 ივნისს, საღამოს შეიპყრეს ალი იბას ისმაილოვი, რომელსაც ბრალდება აბედინოვისათვის 5 მანეთის საპნის მოპარვა.

— **მოწამვლა საჭმელისაგან.** 13 ივნისს, საღამოს 8 ნახევარ საათზე გუსეინ მამედოვის საჩაიეში (კომ. ქ. № 12) ჭამის დროს მოიწამლა მამედ რუსტამოვი. საჩაიეს პატრონი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 13 ივნისს, საღამოს, ინჟინრის ქ. № 2, გაქურდეს თედორე მიხაილოვის ბინა, წაღებულია 90 მან. ნივთები. ეჭვით დაპატიმრებულნი არიან მეზოვე მარკოზ კირაკოზოვი თავის შვილით.

— ამავე დღეს, ღამით, ნიკოლოზის ქ. № 71 მნაცაკან აივაზოვის ბინიდან მოიპარეს 79 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ალექსანდროვის ქ. № 38 გაქურდეს ნესტორ კიკაბიძის ბინა.

პირველი საბჭოთა არხის გახსნა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

თბილისიდან რიონამდი

დიდის ვაივაგლახისა და დავიდარაბის შემდეგ როგორც იქნა შევედი ვაგონში. არ მეგონა, თუ ასეთი ძნელი იქნებოდა მგზავრობა. დიდის გაჭირვებით მოვძებნე ერთი პატარა დასაჯდომი ადგილი რომელიღაც ბნელ კუნჭულში და მოუთმენლათ ველოდი მატარებლის ადგილიდან დაძვრას.

გული გადაგვიღონდა ლოდინით. ბოლოს დაიძრა მატარებელი და მგზავრებმაც თავისუფლათ ამოისუნთქეს.

ჩავედით ავჭალაში. დაგვაყენეს პირველ მისაღებ ხაზზე ისე, რომ ჩვენი მატარებლის კუდი ჩიხს ებჯინებოდა. ბათომის მხრიდან ამოიარა მატარებელმა ცისტერნების გრძელი შემადგენლობით. პირველად გაუშვეს ცისტერნების მატარებელი. მან მშვიდობით აუარა გვერდი ჩვენი მატარებლის ყველა ვაგონებს, მაგრამ უკანასკნელ ვაგონს, რომლის მიერ დაფარული იყო გასავალი გზა (ჩვენი მატარებლის სადგურიდან მეტად შორს დაყენების გამო), დაეჯახა საშინელი სიძლიერით და მარცხენა გვერდი სავსებით ჩაუმტვრია. ვაგონი ლიანდაგს ასცდა, ბორბლები მოიღრიცა, ფანჯრები ჩაილეწა.

კატასტროფის მიზეზი იყო (როგორც მცოდნე პირები ამბობდნენ) ის, რომ უკანა ვაგონს არ ჰქონდა ანთებული სანიშნო ფანარი და მეორე მატარებლის მემანქანემ ვერ დაინახა სიბნელეში ეს ვაგონი, რომ დროზე შეეჩერებია მატარებელი.

კონდუქტორის ამ დაუდევრობამ (თუ კონდუქტორია ამ კატასტროფის მიზეზი) შეიწირა მრავალ ასეულ მოქალაქის უქმად გაცდენილი საათნახევარი და რკინის გზის ერთი საუცხოვო ვაგონი.

ასეთი წვალებით და დავი-დარაბით ჩავედით სადგურ რიონში.

რიონის სადგურში

თბილისიდან ჩასული კორესპონდენტები სად. რიონზე შევხვდით საქართველოს წყალთა მეურნეობის უფროსს ამხ. ყამარაულს, ინჟ. ანდრონოვს (არხების გასაყვან სამუშაოების ინსპექტორი), ქუთაისის წყალთა ოლქის უფროსს ამხ. მიქელაძეს, ტეხნიკოსს ძაგანიას (პირველი საბჭოთა არხის სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი) და სხვა მუშაკებს, რომლებიც არხის გახსნაზე მიდიოდენ.

გადავწყვიტეთ დაგვეცადა ქუთაისის მატარებლისათვის, რადგან იქიდან უნდა ამოსულიყვენ ქუთაისის მუშაკები. მოველოდენ აგრეთვე ამხ. ფილიპე მახარაძეს, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ის გახსნას ვერ დაესწრებოდა, რადგან იმ დილით რაჭაში გამგზავრებულიყო იქაური გლეხების ჭირვარამის გასაცნობათ.

დილის 11 საათზე თბილისიდან ჩამოსული სტუმრები და ქუთაისელი მუშაკები, რომელთა შორის არიან ამხ. კიმოთე შენგელია, ლეჟავა, ხარაბაძე და სხვები, მიდიან არხის დასათვალიერებლათ.

არხი

სადგურიდან არხამდე იქნება დაახლოვებით ერთი ვერსი. არხი იწყება რკინის გზის ხიდის მარჯვენა მხარიდან და გადის შემდეგ სოფლებში: პატრიკეთი, ოფშკვითი, გეგუთი, საყულია, ბაში, ტყაჩირი და უკანეთი.

არხის მთავარი რაბი გაშენებულია მდ. რიონის ნაპირზე; არხს მარჯვენა მხრიდან აკრავს განიერი ქვის ჯებირი (დამბა), რომელიც იცავს როგორც არხის მთავარ ნაწილს, ისე რკინისგზის ხაზს. წყალის მაქსიმალური სიმაღლე არხში მთავარ რაბთან იქნება 2,15 საჟენი.



ჩქერი (перепад)



რკინისგზის ახალი ხიდი, რომლის ქვეშ გადის არხი

მთავარი რაბიდან დაახლოვებით 100 საჟენის მოშორებით არხი გადის რკინისგზის ხიდის ქვეშ. ეს ხიდი ახალია და ის აგებულია ამიერკავკასიის წყალთა სამმართველოს მიერ. აქედან რამოდენიმე ათეული საჟენის მოშორებით მოწყობილია ჩქერი, რომელზედაც შემდგომ აგებული იქნება ჰიდროელექტრო სადგური.

არხის გაყვანას აწარმოებდა პატრიკეთის და საყულიის თემის გლეხთა მელიორატიული ამხანაგობა, რომელშიაც შედის 2.500 გლეხი.

მთავარი რაბის შუა ბჯეზე ამართულია დიდი წითელი ვარსკვლავი. იქვე გვერდით წითელ დაფაზე ყვავილებიდან ამოჭრილია შემდეგი წარწერა:

— „გაუმარჯოს პირველ საბჭოთა არხს და მშრომელ გლეხობას".

ცოტათი მოშორებით დადგმულია ყვავილებით და წითელი დროშა-ლენტებით მორთული ტრიბუნა.

ჩვენი მისვლისას არხის სათავესთან დაგვხდენ რამოდენიმე გლეხი და გლეხქალები, რომლებიც გულმოდგინეთ ათვალიერებდენ არხს და ხალისიანათ მსჯელობდენ მის მნიშვნელობაზე.



მთავარი რაბის (ШЛЮЗ) გახსნა

— რაღა გიჭირს აწი, სერაფიონ. წყალი ბევრი გექნება და რამდენიც გინდა იბანავე,—ხუმრობით ეუბნება ერთი გლეხი მეორეს.

გლეხების მოსვლამდე თბილისელი და ქუთაისელი სტუმრები ათვალიერებენ არხის ყველა მნიშვნელოვან ნაწილებს, ფოტოგრაფი კი თავისი აპარატით და მოწყობილობით ყველა მხრიდან უტრიალებს მთავარ რაბს და სცდილობს გამონახოს მოხერხებული ადგილი, რომ ქაღალდზე აღბეჭდოს შრომის და მეცნიერების გაერთიანებით შექმნილი უდიდესი ძეგლი მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა.

პირველის ნახევარზე პატრიკეთის მხრიდან გამოჩნდებიან მრავალრიცხოვანი გლეხები, რომლებიც არხისკენ მოდიან. მათ წინ მოუძღვის ორი პიონერი, რომელთაც ხელში უჭირავთ განიერი წითელი დროშები.

არხის სათავესთან ხალხი თანდათან მატულობს. მოდიან განუწყვეტლივ სხვადასხვა სოფლებიდან გლეხები, გლეხქალები და ბავშვები. პირველ საათზე არხის პატარა მოედანი მთლათ გაჭედილია ხალხით, დასადგომი ადგილი აღარსად არის.

არხის გახსნა

ორის ნახევარზე იხსნება მიტინგი ქუთაისის სამაზრო პარტკომის რაიონული ინსტრუქტორის ამხ. კ. შენგელიას თავმჯდომარეობით, რომელიც პირველ სიტყვას აძლევს ქუთაისის სამაზრო გლეხკომის წარმომადგენელს ამხ. ხარაბაძეს.

— ამხანაგო გლეხებო, მოგილოცავთ თქვენი შრომის ბრწყინვალეთ დაგვირგვინებას,—ამბობს ორატორი.

ასეთი არხის გაყვანის სურვილი არ არის ახალი ჩვენთვის, ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა ამ არხის გაყვანა, მაგრამ ჩვენ არ გვყავდა სათანადო ხელმძღვანელი, მთავრობა, რომელიც ხელს შეგვიწყობდა ამ საქმეში.

დადგა დრო, როდესაც მშრომელებმა კისრიდან მოიხსნეს მყვლეფელთა უღელი, და ამ მშრომელების მთავრობის დახმარებით ჩვენ დღეს განვახორციელეთ ეს ნატვრა.

დღეიდან არხში გადაყვანილი რიონი, რომელმაც უნდა მოაპკუროს ჩვენი ყანები, რომელმაც ნოყიერება უნდა მოგვცეს ჩვენ, რომელმაც მოსავალი ერთიორათ უნდა გაადიდოს, არის არა წყალი, არამედ მშრომელთა ოფლი, რომელიც უხვათ დაიღვარა აქ მძიმე მუშაობის დროს.

გაუმარჯოს ამ დიდებულ საქმეს, გაგიმარჯოთ თქვენ! — დაამთავრა ორატორმა და მისი სიტყვები „გაუმარჯოს" და „ვაშას" ძახილმა დაფარა.

შემდეგ ილაპარაკა საქართველოს წყალთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ყამარაულმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 1850 წლიდან გლეხებს არაერთხელ აღუძრავთ შუამდგომლობა არხის გაყვანის შესახებ, მაგრამ ამას მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

მაშინ არსებული წყალთა ინსპექცია სცდილობდა მხოლოდ აღედგინა მუღანლოს და ყარაიას ველები, რომ იქ რუსეთიდან გადმოესახლებია გლეხები; ამით ძველი მთავრობა ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას ახორციელებდა.

დღევანდელი არხის გახსნა არის მშრომელთა უდიდესი დღესასწაული რადგან ის თვით მშრომელების მიერ არის გაკეთებული.

ეს არხი ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მარტო მიტინგებით კი არ ჰკვებავს მშრომელ ხალხს, არამედ საქმით აუმჯობესებს მის კეთილდღეობას.

გაუმარჯოს მშრომელთა ხელმძღვანელს— კომუნისტურ პარტიას, ჩვენს ეკონომიურ აღმშენებლობას და მშრომელ გლეხობას.

შემდეგ გამოდის ამხ. **ლეჟავა**, რომელიც აღნიშნავს, რომ არხის გაყვანა არის გამარჯვება ბუნებაზე, ბუნების ადამიანის სასარგებლოდ გამოყენება; ამასთან ერთად ეს არხი კიდევ უფრო მჭიდროთ დააკავშირებს მშრომელ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

პატრიკეთის თემის სახელით ლაპარაკობს იქაური გლეხი **ნამჩავაძე**, რომელიც ესალმება მთავრობას და ტეხნიკურ პერსონალს, რომელთა უშუალო დახმარებით მოხდა არხის გაყვანა.

საყულიელი გლეხი რაჟდენ **ჯინჭველაშვილი** ესალმება გლეხებს არხის ბრწყინვალეთ დამთავრების გამო და იმედს გამოსთქვამს, რომ გლეხები შეერთებული შრომით შესძლებენ კიდევ უფრო გააუმჯობესონ გაყვანილი არხი და გამოიყენონ იგი თავის სასარგებლოდ.

ორატორთა სიტყვების დამთავრების შემდეგ იწყება რაბის გახსნა. ორი მარჯვე მკლავი მარდად აბრუნებს კბილებიან ბორბალს, რომელსაც ზევით ამოაქვს რაბის რკინის ფანჯარა. მოზღვავებული რიონი მაგრად ეხეთქება რაბის კარებს, შემდეგ კი ჯერ წვრილათ და მერმე აღქაფებული ტალღებით გად იდის არხში და სწრაფად მინავარდობს ახალ კალაპოტში რომ მორწყას და გაანოყიეროს მშრომელთა ოფლით მოპკურებული ყანები.

საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს ის ადგილი, სადაც რიონი არხში გადადის. მღვრიე წყალი თეთრ ტალღებათ ბრწყინავს მზის გახურებულ სხივებზე და შემდეგ შხუილით მიექანება ადამიანის მიერ მისთვის გამზადებულ სადგომში.

გადავხედე გლეხებს. მათ სახეზე აუწერელი სიხარულის ნიშნებია. ისინი თვალს აყოლებენ ახალი მიმართულებით დაქანებულ მდინარეს და ლოცავენ იმ მაცოცხლებელ ნამს, რომელმაც ახალი ენერგია და შრომის გაათკეცებული ხალისი უნდა შემატოს მათ.

მათ საქმით დაინახეს შრომის და მეცნიერების გაერთიანების მნიშვნელობა და ამიერიდან ორივეს მაგრად ჩასჭიდებენ ხელს, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავისი კეთილდღეობა.

ჩვენ მივიჩქარით ქუთაისის მატარებელზე. მივდივართ და შორიდან გვესმის გლეხების მხიარული ჟრიამული, რომელიც კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა.

—

ქუთაისში ამხ. ყამარაულმა წყალთა სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა „მაშველის" არხის სათავე. აქ გაკეთებულია შვიდი დამხმარე ჯებირი, რომლებითაც დაცული იქნა არხის მთავარი ნაწილი და რიონის ნაპირი.

ჯ.

მუშათა ცხოვრება

საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის კლუბი

მეტად საგულისხმო და აღსანიშნავია ხსენებულ კლუბის გამგეობის მუშაობა. კლუბი გაიხსნა ა. | წ. 5 მაისს. გახსნისას იქნა ამორჩეული დროებითი გამგეობა და სარევიზიო კომისია და შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას და ამ 25 დღის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეს. დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინეს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ტუნტუჯიანმა. მისი დაუღალავი მუშაობით მოეწყო სხვადასხვა სექციები და წრეები. არსებობს მშვენივრად მორთული სამკითხველო და წიგნთ-საცავი—ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე; ბლომად არის წიგნები. მკითხველებიც საკმაოდ ჰყავს, ამ ბოლო ხანს დიდათ გაიზარდა წევრობა ამ კლუბისა. ხსენებულ კლუბში ყოველ დღე არის კინო, სადაც აჩვენებენ თანამედროვე ცხოვრებიდან სურათებს და აგრეთვე წარმოდგენებს, კონცერტებს, გასამართლებას და სხვა. კლუბში ყოველ დღე უკრავს სასულე ორკესტრი. არის მუშებისთვის დასასვენებელი, გასართობები, შახმატი, დომინო, ნარდი და ბილიარდი და მუშა-მოსამსახურეები მართლაც გრძნობენ ამ კლუბში დასვენებას.

ამ ერთი კვირის უკან იქნა ამორჩეული მუდმივი გამგეობა და სარევიზიო კომისია, სადაც შედიან მომზადებული ამხანაგები.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

გვიხსენით უწესრიგობისაგან!

(მე-2 უბნის მილიციის და სანიტარულ ექიმის საყურადღებოდ)

ფიდლისიევის ქუჩაზე მე-3 ჩიხში № 13 სახლში სუფევს დიდი უსუფთაობა. სახლის პატრონმა საქათმე მოაწყო და ქათმები წიწილებით გაიჩინა. ეზოში მოიპოვება მრავალი ჯურის ძაღლები. ყველა ესენი სვრიან ეზოს და დერეფნებს. 25 ოჯახი სარგებლობს ერთი ფეხისადგილით, რომლის მილები გატეხილია და საერთოდ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ჰაერი მუდმივ აყროლებულია; გვიხსენით მოსალოდნელი სენისაგან! აგრეთვე ამ სახლს არა აქვს არსად „ფანარი“ და ღამით სიბნელეში კიბეზე ვარდება ადამიანი. სიბნელის გამო გაქურდეს ორჯერ ერთი ოთახი. საჭიროა მოისპოს ამგვარი უწესრიგობა!

ინფ. მდგმური.

ჩვენც მოგვეცით წყალი

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

საბურთალოს მცხოვრებნი (ვედელები) განიცდიან დიდს გაჭირვებას უწყლოობით. სასმელი წყალი მათ არ მოეპოვებათ და ძალაუნებურად გვიხდება მტკვრიდან ამოტანა სასმელი წყლისა, რასაც მოსდევს ხოლმე ადამიანების მსხვერპლიც. 14 ივნისს, დილის 8 საათზე წავიდა დასალევი წყლის ამოსატანად ილიკო გაბოს ძე წიქლაური (10 წლის ბავშვი) წყლის ამოღების დროს გაუსხლტა ფეხი და წყალმა შთანთქა მისი გვამი ჯერ ვერ იპოვნეს.

ალმასკომო, მოგვაქციეთ ყურადღება და გამოგვიყვანეთ ამგვარი უბედურებისაგან. მოწმე.

დაუშვებელია!

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

თავისუფლების მოედანზე სომხის ბაზრის ქ. № 17 საბჭოთა სახლში სცხოვრობენ ორი ქმარ-შვილიანი ქალები, რომლებიც დღე და ღამე სულ გარყვნილებაში ატარებენ დროს და, რყვნიან როგორც თავიანთ პატარა ბავშვებს, აგრეთვე სხვა დანარჩენ პატიოსან იმ ეზოში მცხოვრებლებსაც, რასაც საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და მოგვაშორონ ასეთი უვარგისი და გარყვნილი ელემენტები ან იძულებად მაინც ალაგმონ, რომ იმ სახლში მობინადრეთ გვეღირსოს ღამით მოსვენება და ძილი.

„ჩიგნარელი“.

უპატრონო სახლი

(ალმასკომის საყურადღებოდ)

სომხის ბაზრის № 3 სახლი ეკუთვნის ვიღაც ვაჭარ ფიჩხაძეს, რომელიც გასაბჭოებისას ემიგრანტებს გაჰყვა კონსტანტინეპოლში. მის შემდეგ თითქმის 5 წელია, რაც სახლს არც პატრონი და არც მემკვიდრენი არ მიეკარებიან და რასაკვირველია სახლი უპატრონობას განიცდის: ინგრევა კედლები, ლპება კიბეები და იმტვრევა ფანჯრის მინები, ხოლო შემკეთებელი კი არავინ არის. მივმართეთ „უქსს“, მაგრამ შედეგი კი არა სჩანს. ალბად ქაღალდი კანცელიარიაში ისვენებს.

ალმასკომო, უპატრონე სახალხო ქონებას!

ინფ. ირაკლი ლეკვეიშვილი.

შეგვისრულეთ თხოვნა

(ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს საყურადღებოდ)

თითქმის ყველა უბნებშია დაკიდული საფოსტო წერილებისთვის ყუთები, გარდა ლენინის უბნისა. ამ უბანში ძველ დროს სამი-ოთხი ყუთი იყო, მაგრამ რაღაცა მიზეზით ამ სამი წლის წინედ ისინი ჩამოხსნეს. ლენინის უბანი თავისი სივრცით არის დიდი და იქაურმა მცხოვრებმა დიდი გზა უნდა გაიაროს, რომ გასაგზავნი წერილი მიიტანოს რკინის გზის სადგურში.

ერთი ყუთი აქაც მოგვეცით.

მუშა სიონელი.

ვითომდა შლიაპების სამკერვალოა

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

იურიევის ქ. № 14, ქუჩის პირად სცხოვრობს ს. პატარაია, რომელსაც სახლში ვითომდა შლიაპების სახელოსნო აქვს, არსებითად კი დიდ უზნეო ცხოვრებას ეწევა ეს ქალბატონი. მასთან დადის სხვადასხვა ჯურის ხალხი, რაიც ძლიერ აწუხებს მეზობლად მცხოვრებ მუშა-ხალხს. თვითონ დაავადმყოფებულია ვენერიული სენით, რითაც სხვა ხალხიც დაავადმყოფა, მიიღეთ ზომები, მოაშორეთ ეს ქალი მუშათა უბანს, რომ მსგავსი მოვლენა კვლავ აღარ განმეორდეს.

მუშკორი ტაბაკინელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 16 ივნისს, საღამოს 5 საათზე ლენინის რაიკომის ბინაზე დანიშნულია „რემედას“-ის ლენრაისაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისთვის:

1. გალიფხაია, 2. გუდავაძე, 3. არხიპოვი, 4. ივანოვა ელ., 5. ლებედევი, 6. კარგინი, 7. ფანგერშ, 8. ქორიძე.

— დღეს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხან. ქ. № 123) იხსნება არსენალის რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—ამხ. სერგო ორჯონიკიძე.
2. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება—ამხ. ჟოჟიკაშვილი.
3. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მოხსენება—ამხ. ივანოვ-კავკასიელი.
4. დამზღვევი სალაროს მოხსენება.
5. მოხსენება ხელფასის შესახებ—ამხ. მაჩაიძე.
6. მიმდინარე საქმეები.

ყველა უჯრედების ან ადგილკომების მდივნები უნდა გამოცხადდენ რაიკომში არსენალის რაიონის უპარტიო კონფერენციაზე სადელეგატო მანდატების მისაღებად.

მდივნის მაგიერ—მელაძე.

ოთხშაბათს, 17 ივნისს, დღის 1 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტში მოწვეულია ცვალებად შემადგენლობის (ტერიტორიალურ ნაწილებს) შორის მომუშავე კომისიის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

1. ცინცაძე (6 პოლკი).
2. გობეჩია (ახალგ. ლენინ. კომკავშ. თბ. კომიტეტი).
3. ქელიძე (საქ. პროფკავშირთა საბჭო)
4. მესხი (თბილისის ალმასკომი).
5. მარკაროვი (დივიზია).
6. ბარამიძე (არტილ. პოლკი).
7. კრუგლიკოვი (კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტ. განყოფ.)
8. ადამიძე (ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილება).
9. ჩარტიშვილი (სახ. განათლების განყოფილება).

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

— სახ. უნ. კომკავშირის უჯრედების ბიურო აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 17 ივნისს დღის 4—საათზე მოწვეულია ლენ. კომკავშირის სახ. უნ. უჯრედების გაერთიანებული კრება უპარტიო სტუდენტობასთან.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე მე-3 რაიონის პარტკლუბის შენობაში გაიმართება სადელეგატო კრება და ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

— ქალაქის რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყებ, რომ დღეს 16 ივნისს, საღამოს 5 საათზე (მოლენინის შესახვ. № 6, 71 შრომის სკოლაში) გაიმართა სადელეგატო კრება.

ყველა დელეგატი ქალის დასწრება სავალდებულოა.

— წინადადება ეძლევათ ამხ. ამხ. გეგენავას, ერქომაიშვილს, კ. ორჯონიკიძეს, ი. ქვანიას, კუჭაიძეს და კ. ოცუჯავას გამოცხადდენ 16 ივნისისათვის დილის 10 საათზე ცენ. კომ. სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ამხანაგები აუწყებენ მეგობართ და ნათესავებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

ბაგრატ არუთინოვის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება მოხდება 16 თიბათვეს საღამოს 4 საათზე. შერემეტევის ქ. № 46 დასაფლავება ვერის სასაფლაოზე.

№1662—1—1

პროვინციაში

ზემო-ხანდაკის საკრედიტო ამხანაგობის „საქმიანობა“

შეძლებულებს ადროვებს ფულის გადახდა, ღარიბებს ქონების აწერით ემუქრებიან

სოფელ ზემო-ხანდაკში დაარსდ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს უღარიბესი გლეხების დახმარება და მათი მეურნეობისათვის ხელის შეწყობა, მაგრამ სინამდვილეში არ ხდება. ვინ არის დამნაშავე? ისინი, ვინც ამხანაგობის სათავეში სდგანან.

ესენი არიან: გიორგი მაღალაშვილი, ნიკო დალაქიშვილი, მიხეილ გოგიბედაშვილი და კალანდარიშვილი. ყველა ეს პირები სარგებლობენ გლეხობის უვიცობით, რომ მათ არ იციან ამხანაგობის მნიშვნელობა და როგორც უნდათ, ისე აწყობენ საქმეებს. გლეხებს გამოუტანიათ სესხათ 20—80 მანეთამდე. ნაწილი დაუბრუნებიათ,—ნაწილის გადახდა ველარ შესძლეს. გამგეობამ გლეხობისთვის უთქვამს: წადით შემოდგომამდის დაგიცდით,—მხოლოდ მოსავლის შემდეგ შემოიტანეთო. გლეხები დიდის კმაყოფილებით დაბრუნებულან. მაგრამ შემდეგ გამგეობას ამოურჩევია ზოგიერთი სესხის წამღებნი (არ ვიცი არჩევის დროს რითი ხელმძღვანელობდენ) და მათთვის უდროვებიათ, ერთ ათიოდე გლეხისათვის კი უთქვამთ: უსათუოთ ეხლა უნდა შემოიტანოთ, თორემ ქონებას აგიწერამთ და საჯაროთ გაგიყიდითო. გლეხები ძალიან აღელდნენ და მთელ სოფელში დიდი უკმაყოფილებას აქვს ადგილი. მკითხველმა შეიძლება სთქვას: იქნება ეს ათიოდე გლეხი ცოტა უფრო შეძლებულია. საქმეც იმაშია, რომ არა. შეძლებულებს ადროვეს ვალის გადახდა და უღარიბესი გლეხობის საქმე კი სასამართლოზე არის გადაცემული.

ამხანაგობა ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე: რომ ზოგიერთებს მიაქვთ ფული არა მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, არამედ სავაჭროთ.

ასეთი მდგომარეობა უშლის ხელს როგორც მეურნეობის წინ წაწევას, ისე სოფლის დაკავშირებას ქალაქთან. იმედია საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი მიაქცევს ყურადღებას ჩვენს სოფელში შექმნილ მდგომარეობას და იხსნის გაჭირვებულ გლეხებს ქონების აწერისაგან.

მუშა ალ. უმიკაშვილი.

მისაბაძი მაგალითი

ხაშურის რკ. გზის მემანქანე გიორგი ლომსაძეს ფილტვების ანთებით მოუკვდა 17 წლის მოწაფე შვილი კოლა. მამამ შვილი დაასაფლავა ახალი წესით, თუმცაღა ბევრი გაუჩნდა მრჩეველნი, რომ მღვდლის თანდასწრებით დაესაფლავებია, მაგრამ გულდამწვარი მშობლები არ დასთანხმდენ ასეთ რჩევას და დასაფლავება მოხდა ახალი დროებისადაგვარათ. მამამ გიორგიმ ფულ ქელეხის ნაცვლათ სოფ. წრომის სამკითხველოს გაუწერა ერთი წლით გაზეთები: 2 ც. „კომუნისტი“, 1 ც.—„მუშა“ და 4 ც. „ახალი სოფელი“ ლომსაძემ გაზეთის გამოსაწერი ფულები გადასცა ხაშურის რაიკომს, რომელმაც თანაგრძნობა გამოუცხადა გარდაცვალებულის მამას და აგრეთვე ასეთ ნაბიჯის გადადგმისათვის მადლობა გადაუხადა.

შ. გოგვაძე.

სოფ. გიორგიწმინდა

(გარე-კახეთი)

(სოფ. გიორგიწმინდის ალმასკომის საყურადღებოდ)

სოფ. გიორგიწმინდაში, იორის წყლის პირას, არის წისქვილი, რომელიც ეკუთვნის იმავე სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ილიკო ოდიკაძეს, მარიხაშვილს და ქიაბერაშვილს. ამ წისქვილში მეტი შრომა მიუძღვის გლეხ ილიკო ოდიკაძეს. მან თავისი შრომით და ხარჯით შეაკეთა ეს წისქვილი. ილიკო ოდიკაძეს არ აძლევენ მის წილს მისი „ამხანაგები“ მარიხაშვილი და ქიაბერაშვილი. ხანდისხან ამის გამო უსიამოვნებაც მოსდით.

სოფელ გიორგიწმინდის ალმასკომმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა მიეცეს ილიკო ოდიკაძეს მისი წილი.

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **თელავისა და საქარის** მევენახეობისა და მეღვინეობის სადგურებმა მთავრობიდან მიიღეს 10000 მან. მეღვინეობის საქმის გასაფართოებლად.

— **ახალი სკოლები.** მომავალ სასწავლო წლიდან სოფ. ეიარსა და ქვემოჭალაში (გორის მაზრა) გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლები.

— **იუბილეს გადადება.** მასწავლებელ სპირიდონ ჯორჯიკიას იუბილე, რომელიც უნდა შემდგარიყო 14 ივნისს, გადაიდო შემოდგომისათვის.

— **ალაზნის არხის** გასაყვანათ ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. ამჟამად არხზე მუშაობს 400 მუშა-ხელი.

— **სანერგის მოწყობა.** ოზურგეთის რაიონში სამაზრო გლეხკომი აწყობს ვაზისა და მცენარეთა სანერგე საჯიშეს.

— **შორაპნის მაზრაში** თვითმშრომელთა საზოგადოებაში ამჟამად ირიცხება 500 ხელოსანი.

— **სოფ. ვანში** (ქუთ. მაზრა). ადგილობრივი ალმასკომი შეუდგა საექიმო პუნქტისათვის შენობის აგებას.

დედა ტასია კობელაშვილი, და ნატალია ტეტუნაშვილი შვილებით და ყველა ნათესავები იუწყებიან, რომ 11 ივნისს ბოროტმოქმედთა ხელით ტრაღიკულად დაიღუპა პირველის საყვარელი შვილი და მეორესი ძმა

იოსებ ივანეს ძე კობელაშვილი

ცხედრის გამოსვენება გარდაცვალებულის ბინიდან—საზოგადოებრივი ქ. № 11 მოხდება 16 ივნისს ქვაშვეთის ეკლესიაში, დილის 10 საათზე; დასაფლავება ვერის სასაფლაოზე.

კვირას, 14 და ორშაბათს, 15 ივნისს გარდაცვალების ბინაზე პანაშვიდები—დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ნის. № 1320—2—2

ს.მ.უ.ს. ს.მ.უ.ს.

„ცენტროტრამოტი“

საზაფხულო სახალხო მიმოსვლა

თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი

და აგრეთვე ყველა მიმართულებით.

კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშევის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.

0—8 ნ. 1249

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გავსოვიჩი ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 18 ივნისისათვის დილის 9 საათზე ანდრიევის ქუჩა № 76 დანიშნულია ოქროპირ კილოსანიას ქონების საჯაროთ გაყიდა. გასასყიდ საგნებს შეადგენს: სასადილო მაგიდა, სკამები, მუფეტის შკაფი, ნოხები და სხვა, რომელიც აწერილია ივანე ტუმაზოვის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად ქ. თბილის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს ბრძანებით 1925 წ. 30 მაისის თარიღით და № 1940 №-ით, 65 მანეთის რაოდენობით.

ნ. 1898 1—1 სასამართლო აღმასრულებელი: გავსოვიჩი.

არიფმომეტრებს და მათ ნაწილებს

ტეოდოლიტებს, ნიველირებს,

კიპრეგელებს, ფოლადის ლენტებს, რულეტკებს და სხვადასხვა გეოდეზიურ და ხაზვის ინსტრუმენტებს ვყიდულობ და ვყიდი. მიმართეთ ავლაბარში, რეადოვის ქ. № 22, სავაჟო გიმნაზიის ზევით, დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ჰკითხეთ ლარინს ან დასტოვეთ თქვენი მისამართი და საგნის სახელი მუხრანის ქ. № 17 მანველიანის მაღაზიაში.

1654 1—1

თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივს

აქვს მონოპოლიური წარმომადგენლობა „ცეკავშირის“ და „დელიკატეს“-ის ნაწარმოების

ნეჟინის კიტრის და ტომატ-პიურეს

ქილებით და ბოჭკებით გასასყიდათ; სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციებს შეუძლიათ შეიძინონ ბითუმათ და წვრილ-წვრილათ.

დიდძალი მოთხოვნილების გამო განცხადებები დაუყოვნებლივ მიიღება

ნის. 1326. 2—1 გამგეობა

მიხა ჩოდრიშვილის
სახელობის
შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტ-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—1

ქალაქ ტფილისის და მისი რაიონების

მძლავრი ელექტრო-დენის ელექტრო-ტეხნიკურ მოწყობილობათა სამმართველო

აცხადებს, რომ

იყიდება

500 ფუთი დამუშავებული მინერალური ზეთი.

ცნობების მიღება შეიძლება ელექტრონის სადგურების სამმართველოს მატერიალურ განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი (ყოფ. ერევნის)—ყოფ. თამამშევის ქარვასლა.

ნ. 1327. 1—1 ელექტრო-სადგ. სამმართველოს გამგე—აფანასიევი.

თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება

თანახმად საშემოსავლო გადასახადის ინსტრუქციის [illegible] და სარეწაო გადასახადის დებულების მე-94 მუხლისა, ამით აცხადებს, რომ 1924 | 25 საბიუჯეტო წლის მე-2 ნახევრისათვის ძირითადის აშემოსავლოსი, საკლასო და სათანაბრო გადასახადის გაწერა დასრულდა და მიმდ. წლის 1 ივნისიდან გადამხდელებს დაეგზავნათ ხარჯის ფურცლები. უკანასკნელი ვადა ძირითად საშემოსავლო გადასახადის შემოტანისა არის 1 ივლისი, სათანაბრო გადასახადის 1 ნახევრის 20 ივნისი, ხოლო მე-2 ნახევრის 1 სექტემბერი. გასაჩივრება უსწორო დაბეგვრის შეიძლება თბილისის სამაზრო საგადასახადო კომისიაში სათანადო უბნის ფინინსპექტორის საშუალებით. საჩივრების შეტანის უკანასკნელი ვადა არის 30 ივნისი, რომლის შემდეგ საჩივრები არ იქნება მიღებული. გასაჩივრება ვადაზე გადასახადის შეტანას არ აჩერებს. ის გადამხდელები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო გადასახადის ფურცლები ჯერ კიდევ არ მიუღიათ, უნდა გამოცხადდნენ ცნობების მისაღებათ სათანადო უბნის ფინინსპექტორის კანცელარიაში.

ნ. 1329 1—1 საფინანსო განყოფილების გამგე გავაშელი.

ახლი ცირკულიარისა.

ყველა პარტიულ პროფესიონალურ ორგანიზაციებს და სახელმწიფო დაწესებულებებს

მიუხედავად ა | კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 86 ა. წ. 22 აპრილიდან), რომ ა. კ. ფოსტელსახკომის ვალები, კერძო ტელეფონის ხმარებისათვის სახელმწიფო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ ორი კვირის განმავლობაში ყოფილიყო გადახდილი, უკანასკნელთ ასეთი არ შეუსრულებიათ.

დაწესებულებების და ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს დღემდე, არა თუ სავსებით გადაუხდიათ თავიანთი ვალი, ნაწილობრივათაც არ დაუფარავთ მათზე დარჩენილი ხვედრი გადასახადი.

ზემოაღნიშნული გარემოება, ფოსტელსახკომს იძულებულს ხდის მოიყვანოს სისრულეში ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული დადგენილება და, უკლებისად, ყველა, არა წესიერი გადამხდელი აბონენტი გამორიცხოს და მომავალშიაც არ შეიტანოს ასეთები ქსელში, თუ ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ ცირკულიარის დაბეჭდვისა, მათ მიერ ვალები სავსებით გასწორებული არ იქნა.

ა | კ. ფოსტელსახკომის რწმუნებულის მოადგილე ყამარაული.

ქქ. თბილისი, 2 ივნისი 1925 წ. 2-2 ნ. 1814

ს. ს. მ. უ. ს.

საამშენებლო ტრესტის ცენტრ. სამმართველო

15 ივნისიდან გადადის ახალ შენობაში

მაჩაბლის ქ. № 1 სოლოლაკის ქუჩის კუთხეში ტელ. 6—55

სადაც უნდა მიმართონ აგურის, მარსელის კრამიტის, კირის, გაჯის და სხვათა შემკვეთლებმა

ნ. 1312 3—2

დაკარგა დაზღვევის წიგნაკი პიტონ ილარიონის ძე ძაგნიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1654 1—1

დაკარგა ბილეთი და სამეურნეო წიგნაკი მოცემული 2014 სიმონ ილიას ძე ჭუმბურიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1660 1—1

დაკარგა სააღრიცხვო ფურცელი ნიკოლოზ გიორგის ძე სიგინაშვილის სახელზე. 1660 1—1

დაკარგა პირადი სარეგისტრაციო ფურცელი № 3432 ვასილ პორფილეს ძე ლამბაშიძეს სახელზე. 1659 1—1

დაკარგა საპენსიონერო მოწმობა, ანნა პავლეს ასულ ნათაძეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1651 1—1

დაკარგა თბილისის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებასთან დადებული ხელშეკრულების ასლი № 82, ორთაჭალაში მდებარე ბაღ-ბოსტნის იჯარით აღების შესახებ, და მეტრიკა ილიკო ოქროპირის ძე ჩარგეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1656 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფ. № 4 და ბარადობის მოწმობა № 41 იოსებ წოწორიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1657 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 57 ვასილ ფონიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1657 1—1

დაკარგა გიორგი სიმონის ძე [illegible] ლა ტოვმა ღვინის სარდაფის საბუთები: 1) პატენტი აქციზის № 650, 2) სარეწაო მოწმობა № 7246, 3) ვაჭრობის წარმოების ნებართვა № 1283, 4) წერა-კითხვის ლიკვიდაციის სასარგებლოდ თბ. ხაზინის ქვითარი № 19485, 5) რეგისტრაციის წიგნაკი, 6) სხვადასხვა გადასახადების ქვითრები, გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. მისამართი: 19 თებერვლის ქ. № 70. 1653 1—1

დაკარგა რ. კ. პ. წევრობის მთლიანი ბილეთი სტეფანე ალექსის ძე გეგიას სახელზე № 599906, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1652 1—1

დაკარგა გორის დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 648 ნიკალა ვეჩნუაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1650 1—1

დაკარგა ბავშვის მეტრიკული მოწმობა მარუსია ძნელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1661 1—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზები

თბილისის კომერციული სააგენტო და ქალაქის სადგური

ცენტრალური კანტორა, წერეთლის ქ. № 3 (ყოფ. განოვის ქ.) ტელეფონი № 9—74.

განყოფილებები:
1. თბილისის საქონლის სადგურთან ტელეფ. 20—03.
2. ნავთლუღის „ 17—22.
3. მოედანზე, ბამბის რიგი, № 6 „ 9—84.

აწარმოებენ შემდეგ ოპერაციებს

1. გაყიდვა სამგზავრო ბილეთებისა ყოველგვარი კლასის და მიმოსვლის მატარებლებზე, სახლში მიტანით.
   შენიშვნა: ბილეთების გაყიდვა თვითეულ მატარებელზე იწყება 5 დღით ადრე მის გასვლამდე.
2. მიღება და გაცემა ყოველგვარი მიმოსვლის სამგზავრო და მცირე სიჩქარის ტვირთებისა და ბარგისა, სახლში მიტანით.
3. შენახვა ბარგისა და ტვირთებისა საწყობებში—თბილისის და ნავთლუღის საქონლის სადგურების ფარგლებში და ქალაქში.
4. გადაზიდვა ბარგისა და ტვირთებისა საკუთარ მძლავრ ავტო-ტრანსპორტზე.
5. მიღება ბარგისა და ტვირთებისა სახლში რკინისგზით და ზღვით გასაგზავნათ.
6. გაცემა მიზნობრივი სესხისა რკინისგზაზე დაწესებულ წესების მიხედვით.
7. ტვირთების დაზღვევა.
8. საბაჟო და სააქციზო წესების შესრულება.
9. და აგრეთვე სხვა კომერციული ოპერაციები, რომელიც გათვალისწინებულია რკინისგზის წესდებაში და წესებში.

ნ. 1315 3—2.

ინვალიდთა სავაჭრო სამრეწველო არტელი

„მიმინო“

გატარებულია რეგისტრაციაში სოციალური-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 1925 წ. 24 მარტს ნომრით № 372

სოც.-უზრ. სახ. კომისარიატის სორგ.-საინსტრუქტორო განყოფ. გამგე—ათ ბიგოვ-ტუმანი.

ნის. 1325 1—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.

სიფილისი (606—914)

მიღება: კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.

მოსკოვის ქ. № 4.

25—13 № 1432

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბალანსი

1925 წ. 1-ლ ივნისისათვის.

აქტივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1. კასა და სახელდახელო ანგარიშებ	523.239—35
2. ფასიანი ქაღალდები, უცხოეთის ვალიუტა, საქონელი საკუთარი	225.395—35
3. სათამასუქო ოპერაციები	278.411—24
4. სესხები საქონლის დაგირავებით	614.248—01
5. მოკლევადიანი სესხებ	1.255.976—56
6. გრძელვადიანი სესხები	1.017.637—48
7. კორესპონდენტები	39.390—13
8. სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	147.606—81
9. ანგარიში განყოფილებებთან	1.057.996—19
10. ქონება	7.531—45
11. მიმდინარე ხარჯები	92.730—19
12. პროცენტები გადახდილი და დარიცხული კომისიაგადახდილი	80.090—62
13. პროტესტ-ქმნილი თამასუქები	26.423—58
14. საეჭვო ვალები	16.027—50
15. სხვადასხვა აქტივები	353.981—26
ბალანსი	5.731.680—72

პასივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1. კაპიტალები	1.465.734—85
2. სპეციალური თანხები განსაკუთრებ. დანიშნულებ.	275.679—48
3. სახელდახელო ანგარიშები	677.325—50
4. სესხები: ა) ა | კ. სას.-სამ. ბანკში	1.355.858—76
5. გადანაღდებული თამასუქები:	
ა) სახელმწიფო ბანკში	10.000—00
ბ) ა | კ. სას.-სამ. ბანკში	80.000—00
6. სპეც. სახელდახ. ანგ. უზრუნველყ. თამასუქებით:	
ა) ა | კ. სას.სამ. ბანკში	255.000—00
7. კორესპონდენტები	1.872—29
8. კომიტენტები საკომისიო ოპერაციები	595—15
9. კლიენტები საქონლის ოპერაციებით	19.060—52
10. სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	117.128—33
11. ანგარიში გამგეობასთან	1.059.149—64
12. პროცენტები, კომისია და სხვა შემოსავალი მიღებული	215.700—86
13. ანგარიში მოგებისა და ზარალისა	6.506—17
14. სხვადასხვა პასივები	192.574—08
	5.731.680—72

ს. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა

ი. ანდრონიკაშვილი
მენაბდე

მთავარი ბუხჰალტერის მოგ. გრიგორაშვილი.

1—1 ნ. 1628

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშ. წულუკიძის ქ. № 4